## პრეზიდენტი

# თურქეთი საქართველოს პრეზიდენტის მომავალ ვიზიტს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას უკავშირებს



თურქეთის რესპუბლიკაში მოუთმენლად ელიან საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალურ ვიზიტს, რომელიც იანვრის დამლევს არის დაგეგმილი.

10 იანვარს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა აბდულჰალუქ მეჰმედ ჩაიმ განაცხადა, რომ თურქეთის მხარეს ეს ვიზიტი ორი მეგობარი და მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობის შემდგომი გაფართოების უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნია.

იხ. მე-2 გვ.

შპს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია

EASTERN POWER CORPORATION LTD

EPC

**აცხადებს ტენდერს მშენებლობაზე**

დასახელება: ხადორის ჰიდროელექტროსადგური.

ადგილმდებარეობა: ახმეტის რაიონი, კახეთი.

სიმძლავრე: 24 მეგა/ვატი.

3 ტენდერი:

1. ტენდერი სამიწათმოქმედო სამშენებლო და ლითონკონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაობისათვის მდინარე ალაზანზე;
2. ტენდერი სამიწათმოქმედო სამშენებლო და ლითონკონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაობისათვის მდინარე სამყურისწყალზე;
3. ტენდერი სამიწათმოქმედო სამშენებლო და ლითონკონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაობისათვის ჰიდროელექტროსადგურის შენობის ტერიტორიაზე.

პირობები ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის:

1. ფირმა რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში:
2. ჰქონდეს შესაფერი სამშენებლო გამოცდილება.

სატენდერო დოკუმენტაციის გაყიდვის თარიღი: 2001 წლის 18, 19 იანვარი 10-დან 17 საათამდე.

სატენდერო დოკუმენტაციის ფასი: 500 ამერიკული დოლარი.

მისამართი: ცოდნისკარის ქუჩა №14 ბ. თბილისი, 380078 საქართველო

საკონტაქტო ტელეფონებია: TEL: 65-00-03, 899 17 33 16 (იკითხეთ – მიშა).

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

სამ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 4780 მკითხველი. მათ შორის, 55% აშშ-დან, 32% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №8 (3749) ხუთშაბათი, 11 იანვარი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

## რეგიონი

# საქართველოს შეუძლია საკუთარი თავი ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოს





ნინოწმინდის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის საბადოში დაიწყო მორიგი – მე-100 ჭაბურღილის გაჭრა. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადასწია ბერკეტი, რითაც აამოქმედა უზარმაზარი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ჩააღწევენ დაახლოებით 4,7-5 ათასი მეტრის სიღრმეზე, საიდანაც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ქვეყანა მიიღებს ენერგომშეცველებს, კერძოდ, ბუნებრივ გაზს.

– ახლა ძნელია გარკვევით იმის თქმა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ეს ჭაბურღილი ქვეყნის მოთხოვნილებას ბუნებრივ გაზზე, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. – მნიშვნელოვანი სხვა რამ არის. საქართველოში საზღვარგარეთელი პარტნიორების ლახმარებით წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის გამიზნული პროცესი. ეს ერთი დღის საქმე როდია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც ისე შორეული მომავლის.

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 6 იანვარი ქ. თბილისი

**ი. კაპანაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამშენებლო კომპლექსის განვითარების შეფასებაში, მშენებლობის ეკონომიკისა და საინვესტიციო პრობლემების კვლევაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი **იური კაპანაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 6 იანვარი ქ. თბილისი

**ნ. თათარიშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

რუსთავის აღმშენებლობაში, საქალაქო მეურნეობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის რუსთავის მერიის საქალაქო მეურნეობის წამყვანი სპეციალისტი **ნიკოლოზ თათარიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.




დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 25 00 00; 25 11 11.

## მილოცვა

# თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივს

თბილისის მეტროპოლიტენი 35 წლისაა. მრავალ ჩვენგანს კარგად ახსოვს ის შორეული წლები, როცა ახალ კოლექტივს ჩაეყარა საფუძველი: იმ დროს დედაქალაქს მხოლოდ ექვსი სადგური ემსახურებოდა. დღეს კი მეტრომშენებელთა უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ თბილისელებისა და მისი სტუმრების სამსახურში უკვე 22 სადგურია.

გადაუჭარბებლად შეიძლება განვაცხადოთ, რომ მეტროპოლიტენს, ქალაქის მასშტაბით, უპირველესი სატრანსპორტო დანიშნულება და როლი აქვს მინიჭებული, რომელსაც იგი კეთილსინდისიერად და ერთგულად ასრულებს სამ ათეულ წელზე მეტია.

განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს ქვეყნისათვის ის ურთულესი და მძიმე ვითარება, როცა ფაქტობრივად პარალიზებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზეც კი მეტროპოლიტენის ფუნქციონირება არ შეფერხებულა და მკვიდრად იდგა დედაქალაქელების სამსახურში. ეს, თამამად შეიძლება ითქვას, ვაჟკაცური შემართების პროფესიონალთა დამსახურებაა, რომლებიც ამჟამად ჩვეული შემართებით აგრძელებენ საქმიანობას.

მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება, მადლობა ვუთხრა მათ მუხლჩაუხრელი შრომისათვის, მივულოცო 35 წლის საიუბილეო თარიღი და ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა პირად ცხოვრებასა და წარმატებები ამ რთულ საპატიო საქმიანობაში.

ედუარდ შევარდნაძე.

## კომპეტენტური აზრი

# ზღაპარი, რომელსაც ახდენა არ უწერია

### ისევ „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ

როგორც ვიუწყებოდით, 9 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში საქართველოს ეკონომიკის საბჭომ და უნივერსიტეტთან არსებულმა ეკონომიკური განათლების საკოორდინაციო საბჭომ გამართეს ერთობლივი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროებისა და პარლამენტის წარმომადგენლები.

სხდომაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა რუსეთის ვალებთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ „ნულოვანი ვარიანტის“ თაობაზე. ამ საკითხზე ანალიტიკურად და საინტერესოდ ისაუბრა მომხსენებელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვლადიმერ პაპავამ. ჩვენ მას ვთხოვეთ „ნულოვანი ვარიანტის“ პრობლემა განემარტა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვისაც, რაზეც სიამოვნებით დაგვეთანხმდა.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### ვიზიტის ფარგლებში

ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის, საქართველო-თურქეთს შორის ახალი სასაზღვრო გადასასვლელის გახსნისა და ბათუმის აეროპორტის მოდერნიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრეს 10 იანვარს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა აბდულჰალუქ მეჰმედ ჩაიმ.

შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს ორმხრივ ურთიერთობაში სამართლებრივი ბაზის შევსების აუცილებლობას.

### სამთავრობო კომისიის სხდომის გამართვამდე

იანვრის დამლევს კიევში გაიმართება საქართველოსა და უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის მესამე სხდომა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რეგიონალური თანამშრომლობის სპექტრში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უკრაინასთან სტრატეგიულ პარტნიორობას, საქართველოს სამთავრობო კომისიის წევრები და ექსპერტები სხდომისათვის ეფექტიანად ემზადებიან, რათა შეხვედრა დინამიკურად წარიმართოს და მის ფარგლებში რაც შეიძლება მეტი ხელშეკრულება გაფორმდეს.

10 იანვარს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველო-უკრაინის ერთობლივი სამთავრობო კომისიის წევრები შეიკრიბნენ, რათა ერთხელ კიდევ განეხილათ ის კონკრეტული მიმართულებანი, რომლებიც კიევის შეხვედრის მთავარი თემა იქნება. სხდომას უძღვებოდა ეკონომიკურ დარგში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლევან ძნელაძე.

კიევში საქართველოს მთავრობის დელეგაციის წევრებთან ერთად კერძო სექტორის წარმომადგენლები და ბიზნესმენებიც გაემგზავრებიან. ისინი თავიანთ უკრაინელ კოლეგებთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივას განიხილავენ.

### სამი თვით წინასწარი პატიმრობა

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ყოფილ მოადგილეს გურამ დიდბარიძეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ სამი თვით წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

საპატიმრო ვადას დიდბარიძე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაატარებს.

იგი ორშაბათს დააკავეს. პროკურატურამ მას სხვისი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ბრალდებები წაუყენა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## უკანასკნელ საათს



გუშინ ჩეჩნეთში გაიტაცეს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ რუსეთის წარმომადგენლობის თანამშრომელი, აშშ მოქალაქე კენი გლაკი.

ზოგიერთი მონაცემებით, იგი საველე მეთაურის ახმადოვის მოთარეშეებმა გამოსასყიდის მიღების მიზნით გაიტაცეს.




გუშინ ჰააგის სამხედრო ტრიბუნალმა ბოსნიის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ბილიანე პლავშიჩს ოფიციალურად დასდო ბრალი გენოციდში. პლავშიჩი ნებაყოფლობით ჩაბარდა მართლმსაჯულებას.



## ლარის კურსი

11 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.0198 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9868 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0300 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9300 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0690 ლარი. |

## ინტერპანორამა

გუშინ ჩეხეთის სახელმწიფო ტელევიზიამ აღადგინა საინფორმაციო გადაცემები, რომლებიც 18 დღის წინათ შეწყვიტეს ახალ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო.







გუშინ ბაქოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა რფ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აზერბაიჯანის პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ არ აპირებს სავიზო რეჟიმის შემოღებას ამ ქვეყანასთან.



## ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +2+7; დღისით +10+15.

მთაში: ღამით -2+3; დღისით +3+8.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით -4+1; დღისით +8+13.

მთაში: ღამით 0-5; დღისით +4+9.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ღამით -1+1; დღისით +11+13.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

# თურქეთი საქართველოს პრეზიდენტის მომავალ ვიზიტს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას უკავშირებს

(პირველი გვერდიდან)

სტუმარმა მაღალი შეფასება მისცა ვიზიტის ფარგლებში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს, რომელთა დროს თანამშრომლობის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ხაერთო აზრი ჩამოყალიბდა. აბდულჰალუქ მეჰმედ ჩაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს თავის მეზობელ ქვეყანასთან. „საქართველო თურქეთს ესაზღვრება როგორც ხმელეთით, ისე ზღვით. თქვენი ქვეყანა ჩვენთვის ერთგვარი ხიდია კასპიის აუზისა და დანარჩენ ქვეყნებში გასასვლელად. მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად ჩვენ ბევრი საერთო კულტურული ფასეულობანი გვაკავშირებს", – განაცხადა თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა და იმედი გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციათა მოზიდვისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის საკითხი. როგორც სტუმარმა განაცხადა, „თურქეთს სურს საქართველოში რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია დააბანდოს და ჩვენმა თანამშრომლობამ რაც შეიძლება მეტი სფერო მოიცვას".

საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო იმ დიდ პროექტებს, რომელთა განხორციელება ორივე ქვეყნისათვის სერიოზული საზრუნავია. კერძოდ, ეს არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, აზერბაიჯანიდან თურქეთში საქართველოს გაელით გაზსადენის, ფოთი-რიზეს ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის, მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტები. როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, თურქეთში ოფიციალურ ვიზიტამდე შესაბამისი უწყებები დააზუსტებენ პოზიციებს კარწახის სასაზღვრო-გამტარ პუნქტთან, ყარსი-თბილისის რკინიგზასა და ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს.

„ჩვენ უმოკლეს დროში გავიარეთ ის გზა, სხვა ქვეყნები ათეულობით წლებს რომ ანდომებენ. ამ ხნის განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა ჩვენი საერთო მიზნები და სტრატეგიული ამოცანები. იმედი მაქვს, რომ ჩემი ვიზიტი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გზაზე გადადგმული მორიგი ნაბიჯი იქნება", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური-საქინფორმი.

რეგიონი

# საქართველოს შეუძლია საკუთარი თავი ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოს



(პირველი გვერდიდან)

ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სხვა ოფიციალური პირნი 10 იანვარს ეწვიენენ ნინოწმინდის საბადოს. მათ ახლდათ კომპანია „კანარგოს" პრეზიდენტი დევიდ რობსონი, რომელიც საქართველოში იმყოფება. „კანარგო" ინვესტიციებს დებს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოპოვებაში.

ქვეყნის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს მოქმედი ჭაბურღილები, დაწვრილებით გაეცნენ სათბობის მოპოვების ტექნოლოგიურ პროცესს.

ნინოწმინდის საბადოს ჭაბურღილებში მუშაობას აწარმოებს საქართველო-ბრიტანეთის ნავთობის კომპანია. აქ დასაქმებული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქენი არიან.

21-ე ჭაბურღილზე, რომელიც პირველი დაათვალიერა ქვეყნის პრეზიდენტმა, 35 კაცი მუშაობს. ამ ობიექტმა გასული წლის დეკემბერში დაიწყო მოქმედება. ახლა აქ დღე-ღამეში 30 კუბმეტრ ნავთობს მოიპოვებენ. ედუარდ შევარდნაძემ საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ ავსებს რეზერვუარს ჭაბურღილიდან ამოღებული ნავთობი.

78-ე ჭაბურღილი, რომელიც ასევე დაათვალიერა ედუარდ შევარდნაძემ, ქვეყანას ყოველდღიურად 55-60 კუბმეტრ ნავთობს აძლევს.

სულ ნინოწმინდაში დღე-ღამეში 300 კუბმეტრამდე ნავთობს და დაახლოებით 200-220 ათას კუბმეტრ ბუნებრივ გაზს მოიპოვებენ.

– ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, არ კმარა ქვეყნის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, – თქვა საქართველო-ბრიტანეთის ნავთობის კომპანიის წარმოების დირექტორმა ალეკო ჭიჭინაძემ, – მაგრამ, კომპანიის მიერ დაწყებული სამუშაოები გრძელდება და სერიოზული საფუძველი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ ამ საბადოში ენერგომშემცველების მარაგი საკმარისია საიმისოდ, რათა მომავალში საქართველო აღარ იყოს დამოკიდებული საზღვარგარეთიდან შემოტანილ სათბობზე.

არანაკლებ ოპტიმისტურადაა განწყობილი დევიდ რობსონიც. „კანარგოს" პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ნინოწმინდის რაიონში, განსაკუთრებით შარშან გაწეული მუშაობის შედეგებს.

– აქ მოხერხდა სათბობის საბადოს სხვადასხვა გეოლოგიურ შრეებში აღმოჩენა, – განმარტა მან. – ჩემი აზრით, ახალ ჭაბურღილებს კარგი პერსპექტივა აქვს. დღეს კი უნდა დავიწყოთ მე-100 ჭაბურღილის ტესტირება, სადაც, როგორც ვვარაუდობთ, ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი მარაგია. მიმაჩნია, რომ ეს წელი წარმატებით დაიწყო როგორც ჩვენი კომპანიისათვის, ისე საქართველოს ეკონომიკისთვისაც.

ნინოწმინდის რაიონში საძიებო სამუშაოები სსრ კავშირის არსებობის წლებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიეცა საქართველოს შესაძლებლობა მოეზიდა აქ უცხოეთის მნიშვნელოვანი ინვესტიციები. „კანარგოს" საქმიანობა რეალურად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას. კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება საქართველოში ენერგეტიკული სექტორის, კერძოდ, ნავთობის მოპოვებისა და ნავთობის გადამუშავების განვითარებას.

– ნინოწმინდაში საქართველოს სახელმწიფოს პირველ პირთა დღევანდელი ვიზიტი ერთგვარად იმ მოულენად იქცა, როცა მათ ჩაიბარეს აქ გაწეული მუშაობის ანგარიში და განსაზღვრეს ხელინდელი პერსპექტივები, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველო-ბრიტანეთის ნავთობის კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკო თევზაძემ. – ენერგეტიკა ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო დარგია. ჩვენს საბადოებში მიმდინარე მუშაობის მეოხებით საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის პერსპექტივა აღარ არის აბსტრაქტული მსჯელობის საგანი და რეალობად იქცევა. ნინოწმინდის საბადოს მე-100 ჭაბურღილი ერთ-ერთი ის ობიექტია, რომელზეც ქვეყანა განსაკუთრებულ იმედს ამყარებს.

საქინფორმი.

*ნინოწმინდის საბადოზე იმყოფებოდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, რომლის წერილსაც ხვალ შემოგთავაზებთ.*

კადრები

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით:

იოსებ ვაშაკიძე გათავისუფლდა ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე;

ნიკოლოზ კახეთელიძე გათავისუფლდა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96–ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

**ირაკლი ქორიძე დაინიშნა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლად.**

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

# ფოთის დამცავი ნაგებობის კაპიტალური რემონტი გარდაუვალია

**ფოთის წყალგამყოფი კვანძი და კაშხალი, რომელთა ფუნქციონირების მიზანი კოლხეთის დაშრობის სისტემისა და გარეცხვისაგან ზღვის ნაპირის დაცვაა, ოთხი ათეული წლის წინათ აიგო. ასევე მათზეა დამოკიდებული ფოთის უმთავრესი ინფრასტრუქტურაც, კერძოდ, საგზაო ავტომაგისტრალი და საკომუნიკაციო სისტემები. კაშხალზე პირველი ავარია 1979 წელს მოხდა. სადღეისოდ კი იგი სერიოზულად არის დაზიანებული და ავარიის შედეგები შესაძლებელია კატასტროფულიც კი აღმოჩნდეს ფოთისათვის.**

10 იანვარს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართულ თათბირზე იმსჯელეს ფოთის დამცავი ნაგებობის აღსადგენად დროებითი სამუშაოების განხორციელებისა და შესაძლო კატასტროფის სავალალო შედეგების თავიდან აცილების შესახებ.

სააქციო საზოგადოების „წყალპროექტის" დირექტორმა გეიდარ ფალავანდიშვილმა, რომელიც თავად უძღვებოდა კაშხალზე კვლევით სამუშაოებს, განაცხადა, რომ, თუ სასწრაფოდ არ დაიწყება ობიექტის გასამაგრებლად დროებითი აღდგენითი სამუშაოები, შესაძლებელია ამან ავარიის განვითარება, ფოთის დატბორვა, სატრანსპორტო მაგისტრალის ჩაკეტვა და ფოთის ნავსადგურის სანაპიროს მოსილვა გამოიწვიოს. ექსპერტთა აზრით, სამომავლოდ გარდაუვალია კაშხლის კაპიტალური რემონტი.

თათბირზე განიხილეს კაშხლის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების საკითხი. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, კაშხლის კაპიტალური რემონტისათვის თანხის მოზიდვაა, რაც მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების პროგრამის საინვესტიციო ფონდისა და ჩვენი ქვეყნის შესაბამის უწყებათა თანადაფინანსებით უნდა განხორციელდეს.

თათბირის შედეგების შეჯამებისას სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ფოთის დამცავი ნაგებობის აღდგენის დროებითი სამუშაოები. „დღეს საქართველოში არ მეგულება ამ სტრატეგიული ობიექტის მსგავსი სხვა რამ, ამგვარ სასწრაფო რეაბილიტაციას რომ საჭიროებდეს. დღეს ფოთს უჭირს და ჩვენ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ მის დასახმარებლად", – ხაზგასმით აღნიშნა გიორგი არსენიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ ფოთის დამცავი ნაგებობის რეაბილიტაციის საკითხს მთავრობის მომავალ სხდომაზე განიხილავენ.

საქინფორმი.

საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის

# მიმართვა

„წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა" სახელობის ტაძრის აგებასთან დაკავშირებით

„წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა" სახელობის ტაძარი აიგო ვახტანგ გორგასლის დროინდელ თბილისის უძველეს კარიბჭესთან.

ტაძარი კიდევ უფრო გაბრწყინდა 786 წელს, როცა მის დასავლეთის კარებთან მოჰკვეთეს თავი წმინდა მოწამეს აბო თბილელს.

ამის შემდგომ ტაძარი არაერთხელ იქნა დარბეული მომხდურთა მიერ. მაგრამ ჩვენი ხალხი უმალ სასოებით აღადგენდა ხოლმე მას.

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ 1122 წელს, თბილისის აღების შემდგომ, თვით მეფე დავით აღმაშენებელს აღუდგენია იგი.

თბილისის ერთ-ერთ უძველეს ადგილას, დღევანდელი „აბანოთ უბნის" ტერიტორიაზე, მეფე ვახტანგ გორგასლის დროინდელ გალავანთან, 15 საუკუნის წინ აიგო ქრისტიანობისთვის წამებული ორმოცი სებასტიელი მეომრის სახელობის ტაძარი.

786 წელს ტაძრის დასავლეთის კარებთან ქრისტიანობისათვის ეწამა აბო თბილელი.

მტერი არაერთხელ ეცადა აღეგავა მოწამეთა ტაძარი პირისაგან მიწისა, მაგრამ სასწაულებრივ გადარჩა ტაძრის საძირკველი და წმინდა აბო თბილელის სისხლნაპკურები ქვის ფილა.

სწორედ ამ წმინდა ადგილზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მხარდაჭერითა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ძალისხმევით აიგება ქრისტეშობიდან მესამე ათასწლეულის ერთ-ერთი პირველი ტაძარი საქართველოში.

დაე, ათასწლეულთა შესაყარზე, ეს ტაძარი ყოფილიყოს ხიდი საქართველოს სახელოვან წარსულსა და ნათელ მომავალს შორის!

დაე ახალ, XXI საუკუნეში ეს ტაძარი იქცეს სიმბოლოდ დედა ეკლესიისა და ქართველი ერის ერთიანობისა, მშვიდობიანი აღმშენებლობისა და თავდადებული გარჯისა მამულის საკეთილდღეოდ!

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს, მის ხალხს!

დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აკურთხებს თბილისის „წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა" სახელობის ტაძრის ადგილს.

კომპეტენტური აზრი

# ზღაპარი, რომელსაც ახდენა არ უწერია

## ისევ „ნულოვანი ვარიანტის" შესახებ

(პირველი გვერდიდან)

– ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, – **თქვა ვლადიმერ პაპავამ**, – დაისვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურად როგორ უნდა „გაეყროდით" რუსეთს. ამისთვის უნდა შემუშავებულიყო მეთოდიკა, რომლითაც გაირკვეოდა წილობრივი საკითხი. მაგრამ მაშინვე ითქვა, რომ ასეთი მეთოდიკის შემუშავება არარეალურია, რადგან დაპყრობილი ქვეყნის ყველაზე დიდი დანაკარგია თავისუფლების დაკარგვა, ხოლო ამის ეკონომიკურად შეფასება პრინციპულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, არც ჩვენ უნდა მოგვეთხოვა რაიმე რუსეთიდან და არც მას ჩვენგან. ამ პრინციპის სისწორე ნათელყო 1991 წელს სამთავრობო დონეზე შეთანხმებულმა მეთოდიკამაც, რომელიც ხელმოწერილია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა წარმომადგენლების მიერ და რომლითაც განისაზღვრა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის აქტივებსა და პასივებში ჩვენი წილი 1,62 პროცენტია.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ მეთოდიკას საფუძვლად დაედო ოთხი მაჩვენებელი. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხვედრითი წილი სსრკ ექსპორტში, იმპორტში, ეროვნულ შემოსავალსა და მოსახლეობაში. ამ ოთხი პარამეტრიდან ეჭვს არ იწვევს მხოლოდ მეოთხე, პირველი სამი კი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგანაც საბჭოთა იმპერიის პერიოდში საგარეო ვაჭრობა იყო პოლიტიკური მეფერილობის, ხოლო საბჭოთა მეთოდოლოგიით გათვლილი ეროვნული შემოსავალი კი არ ასახავდა არამატერიალური წარმოების სფეროს.

1993 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა „ნულოვანი ვარიანტის" შეთანხმებას, რომლის თანახმად სსრკ აქტივებისა და პასივების სამართალმემკვიდრედ აღიარებულია რუსეთი. ამ შეთანხმებას უკრაინისა და საქართველოს გარდა რატიფიცირება გაუკეთა ყველა ხელმომწერმა ქვეყანამ. ის ფაქტი, რომ „ნულოვანი ვარიანტის" შეთანხმება საქართველოს მხრიდან რატიფიცირებული არ არის, შეიძლება კიდევ კარგა ხანს არავის გახსენებოდა, ჩვენ თვითონ რომ არ აგვეტეხა აურზაური. ამ თემის განხილვის ინიციატორების ლოგიკა ასეთია: საქართველომ არ უნდა მოახდინოს „ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება, რადგან მათი გათვლებით საქართველოს რუსეთისგან ეკუთვნის 3 მილიარდ 700 მილიონი დოლარის აქტივები (პასივების გამოკლებით). და თუ რუსეთი ამას არ აღიარებს, მაშინ ჩვენ ვენის კონვენციის შესაბამისად უნდა ვიჩივლოთ ჯერ გაეროში, ხოლო შემდეგ ჰააგის სასამართლოში.

**– ავდგეთ და ჩვენც ვიჩივლოთ, მაგრამ მივაღწევთ კი რამეს?**

– რა თქმა უნდა, ეს გზა არსებობს, მაგრამ ის ძალზე თეორიულია და თუ მას მივმართეთ, მრავალწლიან დავებში ჩართვა მოგვიწევს. თანაც შეიძლება იქიდან სასიკეთო ვერაფერი მივიღოთ და ერთობ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. საქმე ის არის, რომ ჩვენ გვაქვს ოფიციალურად აღიარებული ვალები (როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, ისე სხვა სახელმწიფოებთანაც), რომელთა მომსახურება ჩვენთვის ძალიან რთულია. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ 1995-96 წლებში დაისვა საკითხი ამ ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რაშიც საქართველოს მთავრობას საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეხმარებოდა. 1995-97 წლებში მოხდა კიდეც ვალების პირველი რესტრუქტურიზაცია. კერძოდ, 1997 წლის იანვარში გადავადდა რუსეთის ვალი. მაშინ რუსეთის მხარეს არ გახსენებია, რომ ნულოვანი შეთანხმება რატიფიცირებული არ იყო ჩვენი პარლამენტის მიერ. დღეს იმ ვალების ნაწილს უკვე გაუვიდა ვადა, ნაწილს კი უახლოეს ხანებში გაუვა და კვლავ დადგება ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხი. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის რუსეთის ქმედება, რომელმაც ვალების რესტრუქტურიზაციის თანხმობის სანაცვლოდ ჩვენგან „ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება მოითხოვა.

**– მისი მოთხოვნა რომ არ შევასრულოთ?**

– მაშინ, როგორც უკვე ვთქვი, მოგვიწევს მრავალწლიანი დავა, საიდანაც სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ. ამასთან, არარესტრუქტურიზებული სქემით უნდა გადავიხადოთ რუსეთის ვალი, რაც საშუალოდ ყოველწლიურად 22 მილიონი დოლარის ტოლია. ეს თავისთავად არ იქნებოდა პრობლემა, რომ არ გვყავდეს სხვა კრედიტორებიც, რომლებსაც უნდა ვთხოვოთ არსებული ვალების გადავადება. მაგრამ ამაზე ისინი არ დაგვთანხმდებიან, რადგან დაირღვევა პარიზის კლუბისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მნიშვნელოვანი პრინციპი ვალების მომსახურების ერთიანი სქემის დაცვის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ რუსეთს არარესტრუქტურიზებული სქემით გადავუხდით ვალს, მაშინ ამავე სქემით მოითხოვს ვალის გადახდას ყველა სხვა კრედიტორიც.

განსაკუთრებით მწვავედ დადგება ეს საკითხი ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებთან, რომლებმაც მოახდინეს „ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება და რომლებთანაც ჩვენ ვალები დასაბრუნებელი გვაქვს (ესენია აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი). ამ შემთხვევაში, ამ ქვეყნების მოთხოვნა იქნება ძალიან მარტივი და ლოგიკური: თუ ჩვენ რუსეთთან წავედით „ნულოვან ვარიანტზე", ხოლო ქართველები არა (რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთისაგან ეკუთვნის 3 მილიარდ დოლარზე მეტი), მაშინ ქართველები არც ისე ღარიბები ყოფილან და რატომ უნდა დავთანხმდეთ მათ ვალების გადავადებაზეო.

**– გამოდის, რომ ყველა კრედიტორი „აგვიჯანყდება" და პრაქტიკულად შეფერხდება საქართველოსთვის ვალების გადავადება?**

– სწორედ ასეა. მაშინ წლეულს, საქართველოს არარესტრუქტურიზებული სქემით მოუხდება ყველა კრედიტორ სახელმწიფოსთვის არანაკლებ 300 მილიონი (ფინანსთა სამინისტროს ცნობით) დოლარის გადახდა. ეს თანხა, ჩვენი ბიუჯეტის ნახევარზე მეტია და 2,5-ჯერ აღემატება ეროვნული ბანკის რეზერვებს. პრაქტიკულად საქართველოს ამ რაოდენობის თანხა არ გააჩნია. ამიტომ, მსჯელობა, რომ ჩვენ რუსეთიდან გვერგება ძალიან დიდი თანხა და ხვალ შეიძლება გავმდიდრდეთ, მაგონებს ზღაპარს გლეხისა და ქილა ერბოს შესახებ, რომელსაც ახდენა არ უწერია.

ესაუბრა ოთარ ხუციშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საქართველოს კანონი

## საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40 (47), 1999 წელი, მუხ. 199) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის:

ა) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) მიდასაწარმოო და ტექნოლოგიური კავშირი – საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის კავშირგაბმულობის ქსელი, რომელიც იქმნება არაკომერციული მიზნით, მიდასაწარმოო საქმიანობისა და ტექნოლგიური პროცესის წარმართვისათვის;“;

ბ) „ყ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ“ – „ჰ'“ ქვეპუნქტები:

„შ) სპეციალური ქსელები – ელექტროკავშირისა და საფოსტო კავშირის ქსელების ორგანიზება ლიცენზიის გარეშე, არაკომერციული მიზნით, სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროების, მართლწესრიგისა და ეკოლოგიური მონიტორინგის ღონისძიებათა ჩასატარებლად;

ჩ) სალიცენზიო მოსაკრებელი – კომისიის მიერ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობაზე ლიცენზიის მინიჭებისთვის ლიცენზიის მაძიებლის მიერ გადახდილი თანხა, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ც) სალიცენზიო გადასახდელი – სიხშირული სპექტრის დროებითი გამოყენებისათვის და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის განსახორციელებლად კოდის დროებითი გამოყენებისათვის ლიცენზიის მაძიებლის მიერ გადახდილი თანხა, რომლის ოდენობა განისაზღვრება კონკურსის საფუძველზე;

ძ) ურთიერთჩართვა-ქსელის ნებისმიერ ტექნიკურად დასაშვებ წერტილში ელექტროკავშირგაბმულობის ქსელების ფიზიკური და ლოგიკური კავშირი, რომელიც გამოიყენება ერთი ან სხვადასხვა ოპერატორის მიერ, რათა ერთი ოპერატორის მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცეთ დაუკავშირდნენ იმავე ან სხვა ოპერატორის მომხმარებლებს ანდა ისარგებლონ სხვა ოპერატორის მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებით;

წ) კომერციული კონკურსი – კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე, გარდა ტელერადიომაუწყებლობისა, ლიცენზიის გაცემის ფორმა, რომლის დროსაც ლიცენზია მიენიჭება ლიცენზიის იმ მაძიებელს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კონკურსის პირობებს და გადაიხდის სალიცენზიო გადასახდელის მაქსიმალურ ოდენობას;

ჭ) სამაუწყებლო კონკურსი – ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის გაცემის ფორმა, რომლის დროსაც ლიცენზია მიენიჭება ლიცენზიის იმ მაძიებელს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კონკურსის პირობებს;

ხ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყება – კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიით ნებადართული მომსახურების ან საქმიანობის დაწყება;

ჯ) საინვესტიციო ვალდებულება – ლიცენზიის მაძიებლის მიერ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სახსრების ინვესტირების ვალდებულება;

ჰ) ზღვრული ტარიფი – კომისიის მიერ კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურებაზე დადგენილი ტარიფის ქვედა და ზედა ზღვარი;

ჰ') კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირი – კოდის (ორი ან სამი ციფრის კომბინაცია, რომელიც ლიცენზიის მფლობელს მინიჭებული აქვს ლიცენზიის შესაბამისად) გამოყენებით სატელეფონო კავშირის განხორციელება სახელმწიფოს შიგნით მდებარე სისტემებიდან სახელმწიფოს გარეთ მდებარე სისტემებთან, რაც უზრუნველყოფს ამ სისტემების მეშვეობით სახელმწიფოს გარეთ არსებული კავშირგაბმულობის მომსახურების მიწოდებას სახელმწიფოს შიგნით მდებარე ობიექტებისათვის და პირიქით“.

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კავშირგაბმულობისა და ფოსტის დანიშნულებაა კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის წინაპირობების შექმნა“.

3. მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტს სიტყვის „მოდიფიცირება“, შემდეგ დაემატოს სიტყვები „მოქმედების ვადის გაგრძელება,“;

ბ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:

„ლ) კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით მონოპოლიურ მდგომარეობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმების დადგენა, მათ შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი, აგრეთვე „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი“.

4. 31-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სალიცენზიო გადასახდელის 20 პროცენტი ირიცხება კომისიის ანგარიშზე და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. ამ თანხით კომისია ფარავს მიმდინარე ხარჯებს. სალიცენზიო გადასახდელის 80 პროცენტი გამოიყენება კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. ამ თანხის სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია. იგი ირიცხება სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. სალიცენზიო გადასახდელის 80 პროცენტის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, კომისიისა და შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს თითო წარმომადგენელი.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. თუ კომისიის მიერ მიღებული შემოსავალი არ ფარავს კომისიის მიმდინარე ხარჯებს, იგი უფლებამოსილია დადგენილი წესით აიღოს სესხი“.

5. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეები და ლიცენზიის მოქმედების ვადა

1. ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით. თუ ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, კომისიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები, მას კომისიის გადაწყვეტილებით ლიცენზიის მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლით. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის გაგრძელების მომენტისათვის დადგენილ სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას.

2. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზირებას ექვემდებარება:

ა) საფოსტო კავშირის მომსახურება:

ა.ა. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილებების მიღებით, გაგზავნით, გადაზიდვით და დატარებით მომსახურება;

ბ) ადგილობრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირებით, საკაბელო ტელერადიომაუწყებლობით, მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება:

ბ.ა. ადგილობრივი სატელეფონო კავშირის სისტემითა და ქსელით მომსახურება;

ბ.ბ. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება;

ბ.გ. საკაბელო ტელერადიოსამაუწყებლო ქსელით მომსახურება;

ბ.დ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის საკაბელო ქსელით მომსახურება;

ბ.ე. ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მაგისტრალების სიმეტრიული, კოაქსიალური და ბოჭკოვან-ოპტიკური მაგისტრალებით მომსახურება;

გ) თანამგზავრული ან/და საერთაშორისო სისტემებით მომსახურება;

გ.ა. ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურებით მომსახურება;

გ.ბ. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით;

გ.გ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით;

დ) სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა:

დ.ა. მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა;

დ.ბ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება რადიოხაზების გამოყენებით;

დ.გ. პერსონალური რადიოგამოძახებითი კავშირით მომსახურება;

დ.დ. ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება;

დ.ე. საეთერო ტელერადიომაუწყებლობა;

დ.ვ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის მიწისზედა ქსელით მომსახურება სიხშირეების გამოყენებით;

დ.ზ. პეიჯინგური სისტემით მომსახურება;

დ.თ. თრანქული სისტემით მომსახურება;

დ.ი. საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სანავიგაციო სისტემებით მომსახურება.

3. კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე, გარდა ტელერადიომაუწყებლობისა, ლიცენზია გაიცემა კომერციული კონკურსის საფუძველზე.

4. კომერციული კონკურსის პირობაა კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა, საინვესტიციო ვალდებულება და სალიცენზიო გადასახდელის მაქსიმალური ოდენობის გადახდა.

5. კომისია განსაზღვრავს ტექნიკურ სტანდარტებს, საინვესტიციო ვალდებულების ოდენობას და განხორციელების ვადას, სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას კონკრეტულ სიხშირულ დიაპაზონში დაკავებული ზოლის სიგანისა და სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობის გათვალისწინებით, კავშირის სახეობის სპეციფიკურობის, ქსელში გადამცემი სადგურების რაოდენობის, გადამცემის გამოსასვლელი სიმძლავრის, ქვეყნის კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. კომისიის მიერ დადგენილი ტექნიკური სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ნორმებს. ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიცირება საქართველოს სათანადო ორგანოების მიერ არ არის სავალდებულო, თუ ლიცენზიის მაძიებელი წარადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სათანადო ორგანოების მიერ გაცემულ სერტიფიკატს, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.“

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 36[1] და 36[2] მუხლები:

„მუხლი 36[1]. ლიცენზიის მიღების საფუძველი

1. ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს კომისიას.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები;

ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი.

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

4. თუ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელება საჭიროებს სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების ჩატარებას და ზეგავლენას ახდენს საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის ქსელის ან სხვა ოპერატორის ქსელის ფუნქციონირებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივ გარემოზე, ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაცია კომისიის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 36[2]. ლიცენზიის კონკურსის საფუძველზე გაცემის წესი

1. სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე და კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

2. კონკურსის გამოცხადების საფუძველი შეიძლება იყოს თავისუფალი რესურსის არსებობა ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენა.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) გასაცემი ლიცენზიის ზუსტი დასახელება;

ბ) კონკურსის პირობები;

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის წესი;

დ) განცხადებათა მიღების დაწყებისა და დამთავრების, კონკურსის ჩატარების ვადები.

4. კომისია კონკურსის ჩატარების თარიღამდე სულ ცოტა 2 თვით ადრე უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ინტერნეტის ქსელით.

5. გასავრცელებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

6. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ამოწურვადი რესურსის სახეობის საერთო მოცულობის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი გახდება.

7. ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას ამ კანონის 36[1] მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10 პროცენტის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უბრუნდება ლიცენზიის მაძიებელს კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად. კომისია არ მიიღებს ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია, რაც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება კომისიისათვის.

8. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებათა მიღება მთავრდება კონკურსის პირობებით განსაზღვრულ დღეს და საათზე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადება არ მიიღება. განცხადების რეგისტრაციის თარიღი ითვლება მისი მიღების თარიღად.

9. კონკურსში მონაწილეს უფლება აქვს განცხადებათა მიღების პერიოდში თქვას უარი კონკურსში მონაწილეობაზე. ამ შემთხვევაში კომისია ახდენს განცხადების გამოთხოვის რეგისტრაციას.

10. კონკურსში მონაწილის განცხადება არ მიიღება, თუ დარღვეულია ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

11. კონკურსის წესით ლიცენზიის გასაცემად კომისიის მიერ დადგენილ დღეს და საათზე იკრიბება ლიცენზიის ყველა მაძიებელი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

12. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს კომისიის სხდომას.

13. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა.

14. კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება სათანადო ოქმი, თუ:

ა) განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება;

ბ) წარდგენილი განცხადებებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

15. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

16. კომისიის სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ინტერნეტის ქსელით.

17. კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს“.

7. 37-ე და 38-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. სალიცენზიო მოსაკრებელი

1. ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.

2. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ“.

მუხლი 38. ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები

1. ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებებზე, გარდა კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებისა, ლიცენზია გაიცემა ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის ამ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, სათანადო განცხადების წარდგენიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.

2. ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე და კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში და ძალაში შედის სალიცენზიო გადასახდელის გადახდის შემდეგ.

3. ამ კანონის 36[1] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის სამშენებლო ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური ექსპერტიზის უზრუნველყოფის მიზნით კომისიასთან იქმნება მუდმივმოქმედი ქვეკომისია (შემდგომში-ქვეკომისია), რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით დანიშნული პირი. ქვეკომისიის შემადგენლობაში კომისიისა და მისი აპარატის წარმომადგენლებთან ერთად შედიან საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების და შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ უწყებებში უზრუნველყოფენ სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზას ქვეკომისიისათვის დოკუმენტაციის წარდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში ქვეკომისიის წევრები ქვეკომისიას არ წარუდგენენ ექსპერტიზის შედეგებს, ჩაითვლება, რომ შესაბამისი უწყებიდან მიღებულია დადებითი დასკვნა.

4. ქვეკომისია ექსპერტიზის შედეგების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისიას წარუდგენს დასკვნას ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის ლიცენზირებადი საქმიანობის პირობებთან, არსებულ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

5. ლიცენზიით გათვალისწინებულ შემთხვევებში ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიაში მითითებული სამშენებლო-ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლის ნებართვის მისაღებად განცხადებით მიმართავს მიმღებ კომისიას, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიისათვის წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად. მიმღები კომისიის შემადგენლობაში შედის კომისიის წარმომადგენელი.

6. ლიცენზიის მფლობელი მიმღებ კომისიას წარუდგენს თავის საქმიანობაში გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების შესაბამისობის სერტიფიკატს.

7. მიმღები კომისია იხილავს ლიცენზიის მფლობელის განცხადებას და ამოწმებს მის მიერ კომისიისათვის წარდგენილი სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობას განხორციელებულ საქმიანობასთან, რის შემდეგაც, განცხადების მიღებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში აფორმებს სამშენებლო-ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლის აქტს. თუ აღნიშნულ ვადაში მიმღები კომისია არ გააფორმებს აქტს და ლიცენზიის მფლობელს არ წარუდგენს დასაბუთებულ უარს აქტის გაფორმებაზე, ექსპლუატაციაში შესვლის ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

8. ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის არ ესაჭიროება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისაგან რაიმე სხვა ლიცენზია ან ნებართვა, გარდა ამ კანონით დადგენილი ლიცენზიებისა და ნებართვებისა“.

8. 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს, ხოლო „დ“ – „ვ“ ქვეპუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად „გ“ – „ე“ ქვეპუნქტებად;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ლიცენზიის მფლობელი არღვევს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედი კანონდებლობით დადგენილ წესებს;“.

9. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 39[1] მუხლი:

„მუხლი 39[1]. ლიცენზიის მოდიფიცირება

1. ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეცვლა, აგრეთვე გამოყენებული მოწყობილობების ტექნოლოგიური ცვლილებები.

2. ლიცენზიის მოდიფიცირება შეიძლება მოითხოვოს როგორც კომისიამ, ისე ლიცენზიის მფლობელმა. ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

3. ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მფლობელის მიერ კომისიისათვის ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ განცხადების წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში“.

10. მე-40 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ლიცენზიის მფლობელის მიერ პრაქტიკული საქმიანობის დაუწყებლობა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში“.

იხ. მე-4 გვ.

შპს მაგთიკომი
მთელ საქართველოში 38 ოფისი
კიდევ ერთი ახალი ოფისი
კასპი (სტალინის №78)
დაფარვის ზონა – დასახლებული ტერიტორიის 95%
მაგთი MAGTI GSM
მაგთი-GSM მუდმივი კავშირის სამყარო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს კანონი

## საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მესამე გვერდიდან)

11. 41-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. ლიცენზიის გასხვისება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა, დაგირავება და ლიცენზიით მინიჭებული უფლებების საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანა აკრძალულია.

5. ლიცენზიის მფლობელი ამ კანონის $36^1$ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შეცვლის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში ვალდებულია კომისიას წერილობით აცნობოს ამის შესახებ და ცვლილების რეგისტრაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები“.

12. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის $41^1$ მუხლი:

„მუხლი $41^1$. ურთიერთჩართვის ხელშეკრულება

1. ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ფორმდება ლიცენზიის მფლობელებს შორის სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური ურთიერთობების განხორციელებისა და რეგულირების მიზნით.

2. ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ტექნიკურად საზიანო არ უნდა იყოს ქსელში მოქმედი სხვა ლიცენზიის მფლობელებისათვის. დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების გამჭვირვალობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები.

3. ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში უნდა აისახოს:

ა) ურთიერთჩართვის პირობები და ვადები;

ბ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;

გ) ურთიერთჩართვის ტექნიკური პროექტი;

დ) ურთიერთჩართვის ტარიფები, რომლებიც უნდა იყოს გონივრული, გამჭვირვალე, განვითარებაზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული;

ე) ოპერატორებს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული პირობები.

4. ოპერატორი ვალდებულია გამოაქვეყნოს და მიაწოდოს კომისიას მასთან ურთიერთჩართვის პირობები და ტარიფები, რომლებიც დაცული უნდა იყოს სხვა ოპერატორებთან ურთიერთობისას.

5. ოპერატორი ვალდებულია ჩაერთოს სხვა ოპერატორს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ქსელის ნებისმიერ ტექნიკურად დასაშვებ წერტილში. ოპერატორს ეკრძალება სხვა ოპერატორისათვის ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა. არაპირდაპირი ჩართვის შემთხვევაში ურთიერთჩართვის მსურველ ოპერატორს არ დაეკისრება პირდაპირი ჩართვისაგან განსხვავებული ურთიერთჩართვის ტარიფის გადახდა. ხელშეკრულება ფორმდება ოპერატორის მიერ სხვა ოპერატორისათვის წერილობითი მიმართვიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ურთიერთჩართვა ხორციელდება წერილობითი მიმართვიდან 3 თვის ვადაში.

6. ურთიერთჩართვის მსურველი ოპერატორისათვის შეთავაზებული ურთიერთჩართვის ტექნიკური და ფინანსური პირობები, მომსახურების ხარისხი, ქსელში ჩართვის პირობები და ვადა არ უნდა განსხვავდებოდეს იმ მოთხოვნებისაგან, რომლებიც ოპერატორებს დადგენილი აქვთ საკუთარი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.

7. ოპერატორები ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებამდე 10 დღით ადრე აქვეყნებენ და აწვდიან კომისიას მის პროექტს. თუ აღნიშნულ ვადაში კომისიას არ მიმართავს სხვა ოპერატორი ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით, მხარეები აფორმებენ ხელშეკრულებას. თუ მესამე პირი მიმართავს კომისიას ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით, კომისია იხილავს საკითხს და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების პირობების დადგენის შესახებ. თუ თავად ოპერატორები ვერ თანხმდებიან ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებაზე, კომისია იხილავს საკითხს და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ოპერატორები ვალდებულნი არიან, შეასრულონ კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილებები.

8. ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯებს ფარავს ურთიერთჩართვის მსურველი ოპერატორი.

9. კომისია ადგენს და არეგულირებს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის მფლობელთა ურთიერთჩართვის ხელშეკრულებების ძირითად პირობებს, მათ შორის, ურთიერთჩართვის ტარიფებს და კოორდინაციას უწევს ლიცენზიის მფლობელთა საქმიანობას. კომისია უფლებამოსილია ჩაერიოს მხარეთა შორის ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, საკუთარი გადაწყვეტილებით მოსთხოვოს მათ ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობისა და კომისიის მიერ დადგენილი პირობების დაცვით, აგრეთვე, ამ პირობების დარღვევით გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა“.

13. 42-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 42. ლიცენზიის გარეშე საქმიანობა

1. საქმიანობაზე ლიცენზია არ არის საჭირო, თუ კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელები და საშუალებები გამოიყენება:

ა) სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროების, მართლწესრიგისა და ეკოლოგიური მონიტორინგის ღონისძიებათა ჩასატარებლად კავშირგაბმულობისა და ფოსტის სპეციალური ქსელების ორგანიზებისათვის;

ბ) შიდასაწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულებით არაკომერციული მიზნით.

2. რადიოსარელეო ხაზების გამოყენება შიდატექნოლოგიური მიზნებისათვის დასაშვებია მხოლოდ კომისიის მიერ გაცემული სათანადო ნებართვის საფუძველზე.

3. პირები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობას ახორციელებენ ლიცენზიის გარეშე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამ საქმიანობის დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში კომისიაში გადიან სავალდებულო რეგისტრაციას. კომისიას წარედგინება რეგისტრაციის გავლის შესახებ განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების სახელწოდება, ადგილსამყოფელი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

ბ) კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით განსახორციელებელი საქმიანობა, ტექნიკური პარამეტრების ჩათვლით;

გ) განსახორციელებელი საქმიანობის ვადა და სამოქმედო ზონა.

4. კომისია იხილავს განცხადებაში მითითებულ მონაცემებს, რის შემდეგაც, განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“.

14. 46-ე და 47-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 46. კომისიის უფლებამოსილება ტარიფების დადგენასა და რეგულირებაში

1. კომისია უფლებამოსილია კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების სახეებზე, მომსახურების ხარისხის გათვალისწინებით, დააწესოს ზღვრული ტარიფები, თუ მიიჩნევს, რომ შექმნილია არაკონკურენტუნარიანი გარემო მომსახურების კონკრეტულ სახეზე. კომისიამ ზღვრული ტარიფებისა და ურთიერთჩართვის ტარიფების დადგენისას უნდა გაითვალისწინოს აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილება.

2. ლიცენზიის მფლობელები ვალდებულნი არიან კომისიას წარუდგინონ ინფორმაცია ზღვრული ტარიფის ფარგლებში მათ მიერ შემოღებულ მომსახურების ტარიფზე, სათანადო გაანგარიშებით.

3. კომისია უფლებამოსილია კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების კონკრეტულ სახეზე გააუქმოს მის მიერ დაწესებული ზღვრული ტარიფი, თუ მიიჩნევს, რომ შექმნილია კონკურენტუნარიანი გარემო მომსახურების ამ სახეზე სამართლიანი და გონივრული ტარიფის არსებობისათვის.

მუხლი 47. სატარიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები და პრინციპები

1. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროს სატარიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ამ სფეროს განვითარების ხელშეწყობას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სტაბილურობას და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. იგი ხელს უნდა უწყობდეს კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობას. სატარიფო პოლიტიკის საფუძველია კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროს გამართული ფუნქციონირებისა და ქსელების გაფართოების აუცილებლობა.

2. სატარიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით საზოგადოების ყველა ფენის ეფექტიან მომსახურებას და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების სახეების განვითარებას;

ბ) უზრუნველყოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების პროცესში ქვეყნის ცალკეული რეგიონების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინება;

გ) შექმნას სათანადო პირობები სამეწარმეო გარემოს განვითარების, ჯანსაღი კონკურენციის, ხარისხიანი მომსახურებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის;

დ) უზრუნველყოს მომხმარებლისათვის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობა.

3. სატარიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

ა) ტარიფი უნდა იყოს სამართლიანი, გონივრული, ხარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული;

ბ) ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს ადეკვატური შემოსავლის მიღებას ინვესტიციების მოსაზიდად და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად;

გ) ტარიფმა უნდა წაახალისოს ლიცენზიის მფლობელის შესაძლებლობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად;

დ) სატარიფო სისტემა უნდა იყოს მარტივი და გასაგები;

ე) დაუშვებელია მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება ლიცენზიის მფლობელთა ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე.

4. ტარიფი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

5. კომისია ადგენს ლიცენზიის მფლობელთა მიერ გაწეული მომსახურების დანახარჯების აღრიცხვის პრინციპებსა და მეთოდებს. ლიცენზიის მლფობელები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს პრინციპები და მოთხოვნები“.

15. $49^2$ მუხლის პირველ პუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვები „კომისიის მიერ გაცემული სათანადო ნებართვის საფუძველზე“.

16. 54-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 54. გაცემული ლიცენზიების რეგისტრაცია

კომისიის საქმიანობის დაწყების დღიდან ყველა ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სალიცენზიო რეესტრში შეტანისა და თავისი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2001 წლის 1 აპრილამდე ამ კანონისა და კომისიის შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე კომისიაში გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია. ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით ლიცენზია უქმდება“.

17. 55-ე მუხლის:

ა) მე-2-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ლიცენზიის მფლობელს, რომელსაც გაუვიდა ან გაუვა ლიცენზიის მოქმედების ვადა 1999 წლის 1 ოქტომბრიდან 2001 წლის 1 აპრილამდე, უფლება აქვს ამ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა გააგრძელოს 2001 წლის 1 აპრილამდე.

3. ლიცენზიის მფლობელებმა თავიანთი საქმიანობა შეუსაბამონ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროს უნივერსალური მომსახურების ძირითად პრინციპებთან და ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 1 აპრილამდე მიიღოს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლის ამოქმედებამდეც კომისიამ არ გასცეს ლიცენზიები ტელერადიომაუწყებლობაზე“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5-მე-9 პუნქტები:

„5. ლიცენზიის მფლობელები, რომლებიც ახორციელებენ მომხმარებელთა სატელეფონო კავშირის სისტემითა და ქსელით მომსახურებას, ვალდებულნი არიან ნებისმიერი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი გახადონ საგანგებო მომსახურების სატელეფონო ნომრები.

6. კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ტარიფები 2003 წლის 1 იანვრამდე ეტაპობრივად იქნეს მოყვანილი შესაბამისობაში ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებულ სატარიფო პოლიტიკის ამოცანებთან და პრინციპებთან.

7. კომისიამ 2001 წლის 1 ივლისამდე მიიღოს ნორმატიული აქტი:

ა) „კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროს უნივერსალური მომსახურების შესახებ“. იგი უნდა ითვალისწინებდეს უნივერსალური მომსახურების მოდელებისა და პროგრამების უზრუნველყოფისა და რეგულირების საკითხებს, რომლებიც მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ლიცენზიების პირობებში;

ბ) „კავშირგაბმულობის ქსელების ურთიერთჩართვის შესახებ“.

8. კომისიამ 2001 წლის 31 დეკემბრამდე მიიღოს ნორმატიული აქტი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის წინაპირობების შესახებ“.

II. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984, № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 140-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. მე-10 თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის $144^1$-$144^9$ მუხლები:

„მუხლი $144^1$. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზირების წესის დარღვევა

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა, ან ლიცენზიის პირობების დარღვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^2$. „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადაუხდელობა ან გადახდის ვადების დარღვევა

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადაუხდელობა ან გადახდის ვადების დარღვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^3$. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტების, წარმოების, მშენებლობის, გამოყენების, ექსპლუატაციის, უცხო ქვეყნიდან შემოტანისა და რეალიზაციის წესების დარღვევა

რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტება, წარმოება, მშენებლობა, გამოყენება, ექსპლუატაცია, უცხო ქვეყნიდან შემოტანა და რეალიზაცია საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული სათანადო ნებართვის გარეშე,

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^4$. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევა

საცხოვრებელ ადგილებში ისეთი რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დამონტაჟება და ექსპლუატაცია, რომლებიც არ შეესაბამება ამ საშუალებებისა და მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმებს და საზიანოა მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის,

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით

მუხლი $144^5$. რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით მომუშავე კავშირგაბმულობის საშუალებების რეგისტრაციაში გაუტარებლობა

რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით მომუშავე კავშირგაბმულობის საშუალებების, რომლებიც ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროები, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში რეგისტრაციაში გაუტარებლობა,

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^6$. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა

კავშირგაბმიულობისა და ფოსტის სფეროში მომუშავე ოპერატორის მიერ ამ სფეროში მომუშავე სხვა ოპერატორისათვის ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა,

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^7$. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის მფლობელის მიერ ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმების წესის დარღვევა

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის მფლობელის მიერ ურთიერთჩართვის ხელშეკრულების დადებისას საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლობა,

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^8$. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიუწოდებლობა

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიუწოდებლობა,

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

მუხლი $144^9$. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის მფლობელის მიერ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფების დარღვევა,

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზიის მფლობელის მიერ ტარიფების განსაზღვრისას საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფების დარღვევა,

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით“.

3. 208-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „141-ე, 142-ე“, ხოლო იმავე მუხლში სიტყვები „143-ე-$154^2$“ შეიცვალოს სიტყვებით „143-144-ე, 145-ე-$154^2$“.

4. 228-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 228. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ამ კოდექსის 141-142-ე, $144^1$-$144^9$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას“.

5. 239-ე მუხლს ბოლოში დაემატოს შემდეგი შინაარსის 35-ე ნაწილი:

„35. ამ კოდექსის 141-142-ე, $144^1$-$144^9$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საამისოდ უფლებამოსილი პირები“.

6. 252-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „141-ე-$154^2$“ შეიცვალოს სიტყვებით „143-144-ე, 145-ე-$154^2$“.

III. „სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 39 (46), 1999 წელი, მუხ. 191) მე-5 მუხლის:

ა) დასაწყისში დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება: „სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთები განისაზღვრება შემდეგი ოდენობით“;

ბ) 37-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 38-ე პუნქტი:

„38. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობაზე:

ა) საფოსტო კავშირით მომსახურება:

ა.ა. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მიღებით, გაგზავნით, გადაზიდვით და დატარებით მომსახურება 1000 ლარი;

ბ) ადგილობრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირებით, საკაბელო ტელერადიომაუწყებლობით, მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება:

ბ.ა. ადგილობრივი სატელეფონო კავშირის სისტემითა და ქსელით მომსახურება 2500 ლარი;

ბ.ბ. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება 3000 ლარი;

ბ.გ. საკაბელო ტელერადიოსამაუწყებლო ქსელით მომსახურება 1000 ლარი;

ბ.დ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის საკაბელო ქსელით მომსახურება 1000 ლარი;

ბ.ე. ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მაგისტრალების სიმეტრიული, კოაქსიალური და ბოჭკოვან-ოპტიკური მაგისტრალებით მომსახურება 3000 ლარი;

გ) თანამგზავრული ან/და საერთაშორისო სისტემებით მომსახურება.

გ.ა. ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურებით მომსახურება 1000 ლარი;

გ.ბ. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით 3000 ლარი;

გ.გ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით 1000 ლარი;

დ) სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა;

დ.ა. მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა 1000 ლარი;

დ.ბ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება რადიოხაზების გამოყენებით 1000 ლარი;

დ.გ. პერსონალური რადიოგამოძახებითი კავშირით მომსახურება 1000 ლარი;

დ.დ. ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება 3000 ლარი;

დ.ე. საეთერო ტელერადიომაუწყებლობა 1000 ლარი;

დ.ვ. მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის მიწისზედა ქსელით მომსახურება სიხშირეების გამოყენებით 1000 ლარი;

დ.ზ. პეიჯინგური სისტემით მომსახურება 1000 ლარი;

დ.თ. ტრანქული სისტემით მომსახურება 1000 ლარი;

დ. ი. საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სანავიგაციო სისტემებით მომსახურება 1000 ლარი“.

IV. „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, № 17, ივლისი, 1996 წ.) 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვები „და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული რეგულირების ყოველწლიური საფასურისა“.

V. „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., №№ 9-12, მუხ. 189) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს სიტყვის „ფუნქცია“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ტარიფების დადგენისა და რეგულირების ფუნქცია“.

2. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვები „ხოლო კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ტარიფებს ადგენს და არეგულირებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია შესაბამისი საკანონმდებლო აქტისა და თავისი ნორმატიული აქტების საფუძველზე“.

3. მე-13 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტითა და კომისიის ნორმატიული აქტებით“.

VI. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში სიტყვები „საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“.

VII. ეს კანონი, გარდა II თავისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

VIII. ამ კანონის II თავი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 2000 წლის 13 დეკემბერი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ენერგეტიკა

დღეს თბილისის გაზმომარაგება დედაქალაქის მერიას უამრავ თავსატეხს უჩენს, რომელიც ტყავში ძვრება, რათა მოსახლეობას არ შეუწყდეს ეს მართლაცდა უიაფესი სათბობი. ქალაქისა და „თბილგაზის“ ხელმძღვანელობის ასეთ ძალისხმევას საზოგადოება არაადეკვატურად უპასუხებს. დეკემბერში დედაქალაქის მიერ მოხმარებული ოთხი მილიონი ლარის ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ „თბილგაზმა“ მხოლოდ მილიონამდე ლარის ამოღება შეძლო, დანარჩენი სათბობი მოსახლეობამ დაიტაცა. „თბილგაზის“ მეურნეობა კი ტექნიკურად თუ ფინანსურად უკიდურესად სავალალო მდგომარეობაშია, გამოსავალი თითქოს არ ჩანს. ამიტომაც „თბილგაზის“ ხელმძღვანელი თანამდებობიდან წასვლას ითხოვს, რადგან უძლურია სახელმწიფო ქონების, ბუნებრივი გაზის მასობრივი დატაცების წინააღმდეგ და გამოსავალს ვერ ხედავს. შეიცვლება კი მისი წასვლით ვითარება დედაქალაქის გაზმომარაგებისა და დახარჯული სათბობის ღირებულების გადახდის საქმეში? ეს პრობლემა ჩვენც გვაწუხებს, „თბილგაზის“ გენერალურ დირექტორს გია გოგალიშვილსაც ამ კითხვით მივმართავთ.

– ღრმად ვარ დარწმუნებული, – ამბობს ბატონი გია, – სერიოზული ინვესტიციის გარეშე „თბილგაზი“ ვერ გადარჩება.

**– მაინც რა მოცულობის ინვესტიციაა საჭირო?**

– ყველა პოტენციური ინვესტორი, რომელიც შემოსული იყო და შეისწავლა საკითხი, ერთსა და იმავე ციფრს – 250-300 მილიონ ლარს ასახელებდა. არადა დღეს მეურნეობის გაუმართაობის გამო მოსახლეობიდან დახარჯული გაზის 25 პროცენტსაც ვერ ვიღებ, იტაცებენ სხვადასხვა მეთოდებით, ხშირად ჩვენგან დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი ჩვენივე თანამშრომლების დახმარებით.

**– თქვენ ამბობთ, რომ ეს აქ ვიღაცეებისთვის შემოსავლის კარგი წყაროა?**

– როცა ვსაუბრობთ ასეთი დონის დატაცებაზე, გვინდა თუ არა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამაზე ვიღაცა საკმაოდ კარგად ითბობს ხელს.

**– და ამ დატაცებათა აღკვეთა, თქვენი აზრით, შესაძლებელია?**

– რასაკვირველია, მაგრამ საქმე ის არის, რომ დღეს მიღებული გაზის რაოდენობა შემიძლია გავზომო მხოლოდ სათაო გაზგამანაწილებელ პუნქტებში, სადაც მრიცხველები დგას. ქალაქში კი რომელი მიმართულებით რა რაოდენობის გაზს ვაწვდი, აბსოლუტურად ვერ ვსაზღვრავ, რადგან საუბნო მრიცხველი არსად არ მიყენია. ამიტომაც შეუძლებელია ჩემს დისტრიბუტორს მოვთხოვო იმ ქუჩაზე, იმ უბანში მიწოდებული გაზის ბალანსი.

**– ამას მეპატრონეც ხომ ხედავს, დედაქალაქის მერია, ნუთუ ვერ ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას?**

– ეს მრიცხველები არ ღირს ორი-სამი თეთრი, თუმცა დახარჯული ფული ოთხ-ხუთმაგად დაგვიბრუნდებოდა უკან, მაგრამ საწყისი კაპიტალი არ ჩანს.

**– ჩვენ წესრიგს ვერ ვამყარებთ და ამიტომ ვერ ვუვლით „თბილგაზის“ მეურნეობას, თუ მართლა არ გვაქვს ამ მეურნეობის მოვლის თავი და აუცილებლად სხვას უნდა გადავცეთ?**

– აქ არის მოჯადოებული წრე. ვერ მოგვიწესრიგებია მეურნეობა, რადგან არ გვაქვს ფული. არ გვაქვს ფული, იმიტომ, რომ ვერ მოგვიწესრიგებია მეურნეობა. ამ წრის გასარღვევად დიდი ფულია საჭირო.

თქვენ წარმოიდგინეთ, „ეი-ი-ეს თელასმა“ რა თანხა დახარჯა, რომ მოსახლეობისთვის ხელი შეეშალა ელექტროენერგიის დატაცებაში. ჩვენ რა დავხარჯეთ ამისთვის? არც ერთი თეთრი.

„თბილგაზი“ დღეს წესით, საბაზრო ეკონომიკის პრინციპის თანახმად, ქალაქის ბიუჯეტს უნდა ავსებდეს, პირიქით კი ხდება. არადა აქამდე რომ მიიყვანო გაზმეურნეობა, ამას რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი სჭირდება.

**– საინტერესოა, ამ ფონზე „თბილგაზის“ ხვალინდელი პერსპექტივა როგორ გამოიყურება?**

– ძალიან ცუდად. ჩვენი მოსახლეობა მიჩვეულია არ გადაიხადოს გაზის, წყლის, ელექტროენერგიის გადასახადი. თქვენ ძალიან კარგად იცით, ვიდრე მრიცხველები არ გამოგვიტანეს გარეთ, მასობრივად ვიპარავდით ელექტროენერგიას. დღეს იმიტომ კი აღარ ვიპარავთ, რომ ქურდობას გადავეჩვიეთ, არამედ ველარ ვიპარავთ.

ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთ ფუფუნებას მოკლებულნი ვართ. ჯერ ერთი, რომ გაზის მრიცხველების გარეთ გამოტანა და მათი დაცვა ტექნიკურად ძალიან რთული შესასრულებელია, და მეორეც, ჩვენ ამისთვის საჭირო თანხა არა გვაქვს.

**– მეზობლების გამოცდილებაზე რას იტყვით. სომხეთში, აზერბაიჯანში როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

– ჩვენ როცა საზღვარზე 40 დოლარად ვიღებდით გაზს, მაშინ სომხეთი თავის საზღვარზე 53 დოლარად ყიდულობდა. ამის მიუხედავად, სომხეთი მოსახლეობასა და მომხმარებელზე გაცილებით იაფად ყიდდა გაზს, ვიდრე ჩვენ. იმიტომ, რომ სომხეთის მთავრობამ გაზი გაათავისუფლა ყველანაირი გადასახადისგან. „თბილგაზი“ კი იბეგრება ისე, როგორც ძეხვის საამქრო. ბუნებრივი გაზი არ ითვლება ჩვენში პრიორიტეტულ მიმართულებად, რომელსაც შეიძლება შეღავათი გაეწიოს. უარესსაც გეტყვით, „თელასი“, რომელსაც უძლიერესი ინვესტორი ჰყავს, იბეგრება არა მიღებული, არამედ რეალიზებული პროდუქციის სამოცი პროცენტიდან. ჩვენ კი ვიბეგრებით საზღვარზე მიღებული გაზიდან, მთლიანად 100 პროცენტით.

**– თქვენ თქვით, რომ მოსახლეობიდან დახარჯული გაზის საფასურის 25 პროცენტსაც ვერ იღებთ. უფრო კონკრეტულად რა თანხებზეა საუბარი?**

– გასულ თვეში მივიღე 16 მილიონი კუბური მეტრი გაზი, ეს 4 მილიონი ლარია. დღეს ერთ მილიონ ლარსაც კი ვერ ვაბალანსებთ. თავად განსაჯეთ ეს რას ნიშნავს. შეიძლება ამ პირობებში იარსებოს მეურნეობამ?

**– როგორ აპირებთ ამ თანხის გადახდას?**

– ისევ უნდა გაიძარცვოს ქალაქის მერია. პერმანენტულად იძულებული ვარ გაწვდილი ხელით ვიარო მერიაში. არა მარტო ქალაქის მერიამ, ფინანსთა სამინისტრომაც გამოუყო თანხები „თბილგაზს“ დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფარავად.

ჩვენ „იტერასთან“ დადებულ ხელშეკრულებაში გვიწერია: თუ მომავალ თვეში არ გადავიხდით წინა თვეში მოწოდებული გაზის ღირებულებას, მომწოდებელს უფლება აქვს, გაუფრთხილებლად გაგვითიშოს გაზი. ხელშეკრულებას რომ ხელს ვაწერ, მიმაჩნია, რომ სერიოზულ ხალხთან მაქვს საქმე, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მთავარია ის, რაზეც ხელი მოვაწერე. ილუზიებით ვერ ვიცხოვრებ.

**– საერთოდ, როგორ აფასებთ „იტერას“ საქართველოში მოღვაწეობას. ამ კომპანიის ირგვლივ არაერთგვაროვანი აზრია გავრცელებული. მართლა ასეთი მონსტრია, რომელსაც ჩვენი გადაყლაპვა სურს, თუ?..**

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბიზნესს ეროვნულობა არ გააჩნია. კომერცია ისეთი დარგია, რომელიც ორივე მხარეს, გამყიდველსაც და მყიდველსაც უნდა აძლევდეს ხელს. თუ მისაღებია შენთვის დაათანხმე, არა და... იდეალური ვარიანტია, როცა გყავს რამდენიმე მომწოდებელი და შეგიძლია აირჩიო. ბუნებაში დღეს საქართველოსთვის გაზის სხვა მიმწოდებელი არ არსებობს.

*მოდით ისიც ვთქვათ, დღეს დსთ ქვეყნებიდან გაზს ყველაზე იაფად საქართველო იღებს. ამის დაუნახაობა უმადურობა იქნება. მაგალითად, უკრაინა საზღვარზე 1000 კუბურ მეტრ გაზს 90 დოლარად ყიდულობს, საქართველო 50 დოლარად. ჩვენ რომ ვნახოთ, როგორ ყიდულობენ ევროპის ქვეყნები, ჩვენი 50 დოლარი სასაცილოდ მოგეჩვენებათ. ამას როგორი პოლიტიკური სარჩული აქვს, იმის იქით ვინ რას ფიქრობს, ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია ის, რომ მე ყველაზე იაფად ვყიდულობ ამ საქონელს. ვერავინ ვერ ამოთხრის მიწიდან რკინის მილებს და ვერ წაიღებს. ერთადერთი – ხვალ შეიძლება მითხრას, რომ აღარ მოგცემ ორმოცდაათად, მოგცემ ოთხმოცდაათადო. ჯერ ჩემთვის ეს არავის არ უთქვამს. რაღა პრეტენზიები შეიძლება მქონდეს. წელიწადში 365 დღეა და ყველა სადღესასწაულოა. როცა გვეუბნებიან უნდა გადაიხადოთ გაზის საფასური, ჩვენ ვპასუხობთ, რა დროს მაგის მოთხოვნაა, არჩევნები გვაქვს, ზამთრის სეზონი მოდის, ახალი წელია. მაშინ ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს მომწოდებელს, როდის, რომელ თვეში შეიძლება მოგვაკითხოს ვალებისთვის. მიზეზს რა დაგვილევს. არავინ იფიქროს, რომ იქ არ იციან, რა იწერება, რას გადასცემს მათზე ტელევიზია. ჯერ დაგვიგროვეთ 18 მილიონი ლარის ვალი, მერე გვითხრეს 18 მილიონზე გავჩერდეთ, დავიწყოთ ნულიდან, შემდეგ კიდევ დაგვიგროვდა 720 000 ლარი. ისევ გავჩერდეთ. ისევ ნულიდან დავიწყოთ. სადამდე?*

ახლა ვაგინოთ ვისაც ვინდათ, ჩვენ ხომ არასდროს არაფერში დამნაშავენი არა ვართ.

**– „თბილგაზს“ რამდენი აქვს დღეს „იტერას“ ვალი?**

– ჩვენ დღეს „იტერასი“ ერთი თეთრი არ გვმართებს. გვაქვს „საქგაზის“ ვალი, რომელიც 19 მილიონ ლარს უტოლდება. იმის მიუხედავად, რომ მათ სრული უფლება აქვთ, ამ ვალებს დაარიცხონ საურავი (წარმოიდგინეთ, რა თანხაზე იქნებოდა ახლა საუბარი). არ არიცხავენ არც ერთ თეთრს. ხალხო, მოდით უმადურნი ნუ ვიქნებით. კი, ბატონო, შეგვიძლია? შემოვიტანოთ ეს გაზი ამერიკიდან, შემოვიტანოთ, მაგრამ რით შემოვგაქვს, დირიჟაბლებით, კონტეინერებით, ხურჯინებით თუ... არსებობს ერთადერთი გაზსადენი, რომელიც ჩვენს საზღვრამდე რუსეთისაა. სხვა გაზსადენი არ არსებობს, საიდანაც ჩვენ გაზის მიღება შეგვიძლია. კი, გვაქვს ნოსტალგია ირანის გაზზე, მაგრამ არის ეს გაზსადენი? არ არსებობს. რეალისტი ხომ უნდა იყო კაცი.

# მოჯადოებული წრის გარღვევას დიდი ფული სჭირდება

**მოსახლეობამ „თბილგაზს“ მარტო დეკემბერში 3 მილიონი ლარის ბუნებრივი გაზი მოპარა**

**მართლაც რეალისტები უნდა ვიყოთ და კარგად გავაცნობიეროთ ისიც, რასაც დღეს „თბილგაზი“ აკეთებს, თორემ ხვალ ქუჩაში გამოსვლა და დემონსტრაციებზე გაზის მოთხოვნა, თუ დახარჯული სათბობის საფასურს არ გადავიხდით, ველარ გვიშველის და გაყინულ სახლებში მოგვიხდება გამოზამთრება.**

**შოთა მაჭარაშვილი.**

დედაქალაქი

# მსოფლიოს 35-ე მეტრო 35 წლისაა

ამ დღეს, 35 წლის წინათ, თბილისში 6 სადგური გაიხსნა – „დიდუბიდან“ „რუსთაველამდე“... მომდევნო წელს კიდევ სამი და მეტროპოლიტენის სიგრძემ, მოკლე ხანში, 9,81 კილომეტრი შეადგინა... ამჟამად თბილისში 22 სადგურია, რომელთა საერთო სიგრძე 27,3 კილომეტრს შეადგენს. მნიშვნელოვანი შენაძენებით არც შემდგომი წლები ყოფილა გამონაკლისი. თბილისის მეტროპოლიტენი თანდათან ფართოვდებოდა და უფრო ბევრ უბანში მკვიდრდებოდა. 1979 წელს კი მთლიანად, უწყვეტ ხაზს, განშტოებაც შეემატა და მეტროპოლიტენმა დედაქალაქის უმსხვილესი რაიონიც – საბურთალოც მოიცვა.



ძველი მეტრომშენებლების ნაამბობიდან ირკვევა, რომ სოციალიზმის ეპოქაში მეტროს, მართლაც, ულხინდა. რემონტები გეგმით მიმდინარეობდა, სათადარიგო ნაწილები გრაფიკის დაცვით მოემართებოდა თბილისისკენ, მეტროპოლიტენის მუშაკს დაფასება და პატივისცემა არ აკლდა, მგზავრთა სოციალური დაცვაც მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული. 5-კაპიკიანი მეტრო დიდი ხნით შემორჩა ჩვენს მეხსიერებას.

თუმცაღა, ეს ყველაფერი იყო. და დადგა უმძიმესი გაჭირვების ხანაც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისელებმა პირველად მაშინ იგრძნეს ცენტრალიზებული, იმპერიული მარწუხებისგან გათავისუფლება და დამოუკიდებლობა, როცა თბილისის მეტროპოლიტენმა, შიგადაშიგ, მოულოდნელად, რამდენიმე საათით (1993 წლის მარტში რამდენიმე დღითაც) შეწყვიტა ფუნქციონირება. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა და, რაც მთავარია, საზოგადოების სასოწარკვეთა, შიში იმისა, რომ დედაქალაქის ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დაირღვა.

ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს 90-იან წლებს მეტროპოლიტენის მიწისქვეშა იმპერიამ მაინც გაუძლო. მეტიც, იგი იქცა ერთადერთ საშუალებად, რითაც თბილისელებმა ახლა უკვე საპირისპირო რამ შეიგრძნეს: საბჭოეთი დაინგრა, მაგრამ ახალი ქვეყნის მნიშვნელოვან მოვლენათაგან, რომელთაც ქართულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცნობიერებაში დაიმკვიდრეს ადგილი, თბილისის მეტროპოლიტენი ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი არა მხოლოდ საზოგადოებრივი დატვირთვით, არამედ არქიტექტურული და საინჟინრო თვალსაზრისითაც.

**საბედნიეროდ, მეტრო დღესაც ვითარდება. ერთი წლის წინათ საბურთალოზე დასრულდა და მწყობრში ჩადგა ახალი სადგური „ვაჟა ფშაველა“. სადგური „უნივერსიტეტიც“ მალე გვექნება.**

დღეს ის უკვე ჩვეულ ფენომენად იქცა და, ამიტომაც, აღარავის უკვირს ამ უნიკალური სატრანსპორტო საშუალების ფუნქციონირება. თუმცაღა, გრანდიოზული მიწისქვეშა იმპერიის ზერელედ წარმოდგენაც კი ცხადყოფს, რა მასშტაბებთანაც გვაქვს საქმე. დიახ, ეს ახლა გახდა მეტროპოლიტენი მშობლიური და ჩვეულებრივი, თორემ 35 წლის წინათ, 1966 წლის 10 იანვარს, იგი ნამდვილი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში.

ძალზე რთული გამოდგა გზა 1966 წლიდან 2001 წლამდე. განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულმა უმძიმესი პრობლემების პირისპირ დააყენა თბილისის მეტროპოლიტენი, რის გამოც, ოთხიათას ხუთასკაციანი კოლექტივი მოკრძალებულად, დროის შესაბამისად აღნიშნავს თავის იუბილეს. არადა, კარგ დროსა და ვითარებაში, ალბათ, იქნებოდა უამრავი მილოცვა, საზეიმო დაფდაფები და დაფნის გვირგვინებიც იმათთვის, ვინაც ტიტანური შრომა გასწია მიწისქვეშა იმპერიის სამსახურში, იქნებოდა ისე, როგორც მაშინ, 1966 წლის 10 იანვარს – თბილისის პირველი ესკალატორის ამუშავების ჟამს.

საინტერესო წარსული აქვს ჩვენს მეტროპოლიტენს. დედაქალაქის სამრეწველო და ეკონომიკური პოტენციალის განვითარებამ მოითხოვა საქალაქო სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროს გაფართოებაც. თავად ქალაქის მასშტაბებმა და მრეწველობამ განსაკუთრებული როლი ითამაშა მიწისქვეშა ტრანსპორტის იდეის დაბადებაში, თუმცაღა, მეცნიერული ხედვაც არ სჭირდებოდა იმ ფაქტს, რომ თბილისი, თავისი რელიეფური აგებულებითა და არაორდინარული განლაგებით, ძალზე განსხვავდებოდა მეტროპოლიტენების მქონე მსოფლიოს სხვა ქალაქებისგან. საჭირო იყო უფრო რთული და მყარი მიწისქვეშა კომუნიკაციების შექმნა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ იმხანად მსოფლიოში დიდი გამოცდილება არც არსებობდა. 1966 წლისთვის დედამიწაზე სულ 34 მეტროპოლიტენი იყო. თბილისი 35-ე ქალაქი უნდა გამხდარიყო... მიუხედავად არნახული სიძნელეებისა, გახდა კიდეც!

35-ე ქალაქი დღეს 35 წლისთავს ზეიმობს. სიმბოლურია ეს ფაქტი და ერთგვარი სიამაყის უფლებასაც იძლევა.

ბევრ თბილისელს, ალბათ, ემახსოვრება 1966 წლის 11 იანვარი, როცა გაიჭრა პირველი ლენტი და მეტროს სადგურ „რუსთაველის“ გვირაბში პირველი სტუმრები ჩაეშენენ.

დედაქალაქელებს კარგად ახსოვთ 60-70-იანი წლებიც. რიგები ესკალატორებთან, რიგები გვირაბებში, რიგები მატარებლების კარებთან... ბოლოს, იარაღიანი ქართველი „ბოევიკების“ მემანქანეებთან გაუთავებელი მუქარა, ხალხი ვაგონებს შორის და ხალხი ვაგონებზე, მეტროს მუშაკთა განწირული თვალები და შიში, რომ ამდენი წლის ამაგი, შესაძლოა, ერთბაშად წყალში ჩაიყაროს.

ყოველივე ამის მიუხედავად, მეტროპოლიტენს ქალაქისთვის, თბილისელებისთვის არ უღალატია. იგი არ გაჩერებულა. თუმცაღა, ეს ძალზე დიდი რისკის, შრომისა და თავგანწირვის ფასად, რომელიც ერთნაირად გასწია მეტროპოლიტენის ოთხიათას ხუთასივე თანამშრომელმა.

ძალზე მძიმედ, მაგრამ მაინც, სისტემატურად ხდება ძირითადი კვანძებისა და მოწყობილობების განახლება, მოძრავი შემადგენლობების რემონტი, გვირაბებისა და მაგისტრალების შეკეთება, სადგურების მოპირკეთება და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს 35-ე ქალაქის მეტროპოლიტენი, ფაქტიურად, ულოტაციოდ მუშაობს.

პლანეტის 35-ე მეტროს 35 წლის იუბილე აქვს. ვულოცავთ!

**სოსო ბალაშვილი,**
**სპარტაკ ძოწულია.**

# მეტროპოლიტენის კოლექტივი შეუძლებელს აკეთებს...

უკვე 35 წელიწადია, რაც თბილისში პირველი მეტროს სადგური გაიხსნა. მოგეხსენებათ, ეს სოლიდური თარიღია. მორეული წარსულის კუთვნილებად იქცა ის წლები, როდესაც მეტროპოლიტენის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, დღეს კი, დედაქალაქს, უკვე 22 სადგური ემსახურება.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი მათგანის, სადგურ „ვაჟა ფშაველას“ მშენებლობა, რომელიც თითქმის 14 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, საქართველოს პრეზიდენტის თანადგომითა და დედაქალაქის მთავრობის ძალისხმევით, 2000 წელს დასრულდა, ამჟამად კი მშენებლობა გრძელდება სადგურ „უნივერსიტეტზე“.

როგორც თბილისის მერს და რიგით მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ დღევანდელი რთული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, მეტროპოლიტენის კოლექტივი თითქმის შეუძლებელს ახერხებს და თავდადებული შრომით უდიდეს შეღავათს უქმნის სოციალურად მეჭირვებულ მოსახლეობას. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც თუნდაც ერთი აგური დადო ამ მეტად მნიშვნელოვანი საქალაქო ტრანსპორტის მშენებლობისა და განვითარებისათვის.

გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და წარმატებები, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე თქვენს მეტად საპასუხისმგებლო და რთულ საქმიანობაში.

პატივისცემით,
**ივანე ზოდელავა,**
თბილისის მერი.

ცხელი წერტილი

## კანონის წინაშე ყველამ პასუხი აგოს...

მივუყვებით პანკისის თვალწარმტაც ხეობას, სადაც ბუმბერაზ მთებს ჯილად დაუდგამთ თეთრი გვირგვინი. სპეროზიას მთა ისე ბრწყინავს, თვალს ვერ ვუსწორებთ. სადღაა ძველებური სიმშვიდე და სიმყუდროვე, ისე დაღვრემილია გარემო, თითქოს ყველაფერს მოუწყენია... თითქოს ბუნებაც გრძნობს ტკივილებს...

დუისის ცენტრალურ ქუჩაზე ხალხმრავლობაა. ვგონებ, თბილისის ქუჩებსაც კი გადააჭარბა, აქ ამ ერთი ციდა ხეობაში იმდენი ხალხი ირევა.

რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პაველ ცაძიკიძისა და მისი აპარატის პირველი შეხვედრა ჯოყოლოს მოსახლეობასთან სოფლის საკრებულოს შენობაში გაიმართა. აქ არიან ყველა ჯვარის უფროსები, უხუცესები, ახალგაზრდები, რომელთაც შექმნეს ჯგუფები და დამღამობით მორიგეობენ, ეძებენ დამნაშავეებს. სოფელ ჯოყოლოში ყველა ფეხზე დგას. მათ ძალზე მტკივნეულად და გულთან ახლოს მიიტანეს დღევანდელი ყოფა. ყველაზე დიდი ერთსულოვნება ამ სოფელში იგრძნობა.

ჯოყოლოს გამგებელმა ზაურ ცათიაშვილმა მთავარი აქცენტი პანკისის ხეობაში შექმნილ კრიმინოგენულ სიტუაციაზე გადაიტანა, რომელიც, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, არსებობს...

ჩვენი ცხოვრების მიუღებელი ფორმა ჩრდილს აყენებს და ღირსებას გვილახავს, – თქვა შეკრებილთა წინაშე გამოსულმა გამგებელმა. დამნაშავე კი, რა ერისა და მოდგმისაც უნდა იყოს, კანონის წინაშე პასუხს უნდა აგებდეს.

ისიც ითქვა, რომ საყოფაცხოვრებო პირობები აქ არც ისე სახარბიელოა. ჯოყოლოს საკრებულოში შემავალ ოთხ სოფელში არის მწირი მიწები და, ამასთან, იგრძნობა მისი ნაკლებლობაც, რადგან ავდრობისას ადიდებულმა ალაზანმა წალეკა ბევრი სავარგული (სტიქია აქაურობას კვლავაც ემუქრება). მისახედია ამ სოფლების სკოლები, ბაგა-ბაღები, საკრებულოები, ამბულატორიები, გზატკეცილები, საუბნო გზები; დასაცავია ტყეები...

...ჯოყოლოდან დუისში ვბრუნდებით. იქაც სოფლის აქტივი დაგვხვდა, იქაც იგივე მდგომარეობაა, – ყველა ხეობის გასაჭირზე ლაპარაკობს. მეორე დღე სოფლების საკობიანოსა და დუმასტურ-ქორეთ-ხალაწნის პრობლემებს დაეთმო.

ხეობის მოსახლეობასთან შეხვედრისას გავესაუბრე ზოგიერთ მათგანს:

**უსუპ ყაჩიშვილი (ჯოყოლო):** – ომალოს მოსახლეობა გვერდში არ გვიდგას, არც დუისელები იცლავენ თავს. ფაქტობრივად ჩვენვე შევუწყეთ ხელი ამ ხულიგნებს: „ყვინჩილები“ თავიდანვე რომ აგვეყვანა, ასეთი მდგომარეობა არ შეიქმნებოდა. ხალხი მოწყურებულია, რომ ჩვენთან წესრიგი დამყარდეს. კანონის წინაშე ყველამ პასუხი უნდა აგოს.

**პლატონ ბუნიაშვილი (ომალო):** –, ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო. დამნაშავეებთან ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ. აქაოდა, ცოტა მიწა მაქვსო, მოსახლეობამ საძოვრები მიიტაცა, საქონლის გასადევარი აღარ გვრჩება. მდინარისგან წალეკილი მიწები უნდა ჩამოგვაწერონ, რადგან ხალხმა ფული ტყუილად არ გადაიხადოს. აუცილებელია სამოსახლოდ გამოიყოს მიწები, ტყეები უკანონოდ სულ გაჩანაგდა...

**სულეიმან ბუშაშვილი (ჯოყოლო):** – ამ ბოლო დროს შექმნილი მდგომარეობა ძალზე სავალალო და საგანგაშოა. მამაპაპათა ადათ-წესები ქაოსად გვექცა.

**ზაურბეგ ცისკარიშვილი (ჯოყოლო):** – კარგა ხანია წესრიგის დასამყარებლად ვიბრძვით. მათთან რომ ვერაფერი გავაწყეთ, შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ახალგაზრდების ჯგუფი შეგვექმნა. მართლაც, დაირაზმნენ ისინი და წინამძღოლად იჩი მუთოშვილი ავირჩიეთ. ეს ჭაბუკი ყველას უყვარს, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს და, რაც მთავარია, შეუპოვარია. შემდეგ კი, მასთან ერთად სამასამდე კაცმა ორჯერ ლავიფიცეთ, რომ თუ ჩვენს ჯვარში რომელიმე დამნაშავე არ დაგვემორჩილებოდა, მოვიკვეთავდით. მის მკვლელს პასუხს არ მოვთხოვდით, სისხლს არ ავიღებდით.

**ზაურ ბუშაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახეთის მხარეში:** – მასმედია სცოდავს, როცა წერს, თითქოსდა პანკისის ხეობაში რაღაც ავტონომიაზე იყოს ლაპარაკი. ეს სიცრუეა! მსურს საქართველოს მოსახლეობამ სიმართლე შეიტყოს: ზოგიერთებმა აქ ხელოვნურად შექმნეს და ძაბავს სიტუაცია. ნუთუ ასე ძნელი გახდა 10-12 დამნაშავის დაკავება? ისინი რომ დროულად აღგვეკვეთა, წინააღმდეგობები გლობალურ ხასიათს არ მიიღებდა. მიხარია, რომ ჩემი პირველი ნაბიჯები რწმუნებულის მოადგილის თანამდებობაზე პანკისის ხეობიდან დაიწყო. ჩემთვის უცხო არ არის არც ქისტი, არც ჩეჩენი და არც სხვა ეთნიკური წარმომადგენლობის ხალხთან ურთიერთობა.

ამკარად ჩანს, რომ ვიღაცეები დაინტერესებული არიან აქაურობის დესტაბილიზაციით. აქ კი განსაკუთრებით შემაშფოთებელი არაფერი ხდება. ქართული ჯარი იმიტომ ჩადგა, რომ სამართალდამცავებთან ერთად დაამყაროს წესრიგი და დამნაშავეთა თარეში ალაგმოს. ერთად უნდა დავძლიოთ ეს სენი და მოვგლიჯოთ ის სარეველა, რომელიც ხეობის მოსახლების მშვიდობიან ცხოვრებას უშლის ხელს.

ქალბატონო იზა, თქვენ მრავალჯერ ყოფილხართ ამ ხეობაში, როდესმე გსმენიათ, თითქოსდა, პანკისელ ქისტებს რაიმე ავტონომიაზე დაეძრათ სიტყვა? არიან ძალები, რომელთაც სჭირდებათ ამ ჭორის გავრცელება, რადგან სურთ პანკისის ხეობა დიდი ტრაგედიის პოლიგონად გადააქციონ, როგორც აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი... აქ სხვათა ინტერესებია ჩადებული. ამის განხორციელებისათვის ისინი ყველანაირ მიუღებელ ხერხებსა და მეთოდებს მიმართავენ. განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში გააქტიურდნენ ანტიქისტური პროპაგანდისტები, სისულელეებით სწამლავენ საქართველოს მოსახლეობას. კიდევ ვიმეორებ: ეს არის მიზანმიმართული პროგრამა და, რა თქმა უნდა, პროვოკაცია.

**მალვა მუთოშვილი (დუისი):** – ვფიქრობ, უცხო ქვეყნის სამსახურებიც მუშაობენ ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. ყოველივე ამას ნუ შეუწყობს ხელს ოპოზიციაც. არ არის დღეს ურთიერთანგარიშსწორების დრო, მთავარია ერი გამთლიანდეს.

**სევერიან ბუშაშვილი (ჯოყოლო):** – უკვე ერთი თვეა უხუცესები და ახალგაზრდობა დაფიცული ვართ, რათა ჩვენი ძალისხმევით დავეხმაროთ სამართალდამცავებს კანონიერების აღდგენაში. დროზე უნდა აილაგმოს ყოველგვარი უმსგავსობა და დანაშაული.

ჩვენს ხეობაში 20-30-მდე ვაჰაბიტია. ისინი ჩვეულებრივ, როგორც ჩვენ, მეჩეთში შედიან და ლოცულობენ, მაგრამ ჩვენი მოლები ამ მიმდინარეობის წინააღმდეგი არიან.

ზოგიერთ გაზეთში სიცრუე რომ ქვეყნდება, ეს ჩვენს ირგვლივ ცუდ ამინდს ქმნის, მოდამი შემოვიდა „ქისტური თემა“, ქისტების განურჩეველი ძაგება. დაე, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენთან პატიოსანი ქისტებიც ცხოვრობენ, თანაც ბევრნი... ჩამოდიან ჟურნალისტები, ჩვენ სხვას ვეუბნებით, ისინი კი სულ სხვა რამეს ბეჭდავენ გაზეთებში.

ვიღაც-ვიღაცეებს სურთ ორ ერს შორის უთანხმოება. ამას არ დავუშვებთ, ჭირშიც და ლხინშიც ვიყავით და ვიქნებით ძმები ქართველი ხალხისა!.. ყველამ კარგად იცოდეს, რომ ქისტები სხვებივით არ მოექცევიან სხვათა და სხვათა სიტყვის ტყვეობაში, ანუ არ უღალატებენ საქართველოს და ქართველობას. ჩვენ აქ დავიბადეთ, ქართულ ტრადიციებზე გავიზარდეთ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულნი დავრჩებით სამშობლოისა.

**მარგოშვილების ოჯახი:**

ელიზბარ მარგოშვილის მამა – ბისოლთი, ჩინებული ქისტია, ფილოლოგი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, ძალზე განათლებული, პოეზიის მოყვარული, ჭკუასაკითხავი კაცი, 4 შვილის მამა.



# ვინ ურღვევს პანკისის ხეობის მოსახლეობას სიმშვიდეს?..

მისი მეუღლე – ხედი ქავთარაშვილი დარბაისელი ქალბატონი, დიასახლისია. უფროსმა შვილმა ელიზბარმა ჯერ სამედიცინო ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მუშაობდა თიანეთის რაიონში, შემდეგ – წითელწყაროს რაიონში, თბილისში...

ელიზბარი დღეს დუისშია. პროფესიით მუშაობს. ჰყავს გულთბილი და სტუმართმოყვარე მეუღლე, სამი შვილი და ორი შვილიშვილი. მას, როგორც ჩინებულ სპეციალისტს, ახმეტის რაიონის სოფლებიდანაც აკითხავენ. დუისის გამგეობის წევრი აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში და, თანამოაზრეებთან ერთად, ხეობაში წესრიგის აღსადგენად ილვწის.

– ჩვენს ხეობაში არსებული მდგომარეობა ეკონომიკურ სიდუხჭირესთან არის დაკავშირებული. მას ემატება კავკასიური ომები, აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან ლაწყებული, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ჩათვლით.

ამ ომების შედეგად, საქართველოში და საერთოდ, კავკასიაში დიდძალი საბრძოლო იარაღი გაჩნდა, რომელიც ძირითადად კრიმინალების ხელში მოხვდა. მოგეხსენებათ, რომ კრიმინალს არ ჰყავს „დედა და მამა“, იგი მთიდან დაქანებულ დაუნდობელ ზვავს და ნიაღვარს ჰგავს.

პანკისის ხეობა ჩეჩნეთიდან ლტოლვილების შემოსვლასთან დაკავშირებით გახდა თვალშისაცემი. განსაკუთრებით იმ კუთხით, რომ აქ ვცხოვრობთ ჩეჩნები, ეგრეთ წოდებული ქისტები.

პანკისის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა. საქართველოა ჩვენი წინაპრების ძვალთშესალაგი, ის დიდი სამშობლო, რომელმაც გვშვა და აღგვზარდა, მოგვცა განათლება, კულტურა, ზნეობა, მხნეობა და ადამიანურობა, რა თქმა უნდა, ჩვენს ძირძველ ტრადიციებთან ერთად. ამიტომ, ყველა ერუდირებული პანკისელი ქისტისათვის საამაყოა, რომ ქართველების გვერდით ვცხოვრობთ, რადგან ძირი და ეთნოსი ერთი გვაქვს.

მართალია, რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზების მხარეს ჩეჩენთა გარკვეული ნაწილი იბრძოდა, მაგრამ ჩვენი ხეობიდანაც იყვნენ ქართველების გვერდით მებრძოლი ქისტები. მაგალითად, ვახტო ქავთარაშვილი, ბუბა ბალაკაშვილი და სხვები. „ყვითელი პრესა“ იტყობინება, პანკისის ხეობელი ქისტები ავტონომიაზე ფიქრობენო. გაიგონ აფხაზებმაც, ოსებმაც და სომხებმაც, ყველამ, რომ ჩვენ – ქისტები, სხვებივით არ ვუღალატებთ საქართველოს, რომ ამ იდიოტურ ბაქანალიას მალე დაესმება წერტილი, ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, წარსულს ჩაბარდება!

ამ ორიოდე კვირის წინათ, კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ბიძინა სოლღულაშვილის თაოსნობით, ოპერატიული თათბირი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს შინაგანი ჯარების, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. თათბირზე განიხილეს მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ისაუბრეს პანკისის ხეობაში მძევლად აყვანილი პირების შესახებ და ამ ფაქტთან დაკავშირებით აქაური მოსახლეობის მობილიზებაზე.

თათბირიდან ქისტების მოწინავე ნაწილის დაბრუნებისთანავე, ხეობის ყველა სოფლის წარმომადგენლობის აქტიური მონაწილეობით შემუშავდა გეგმა. ახალგაზრდებისგან შეიქმნა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, შეირჩა ათისთავები, მრჩეველები უხუცესთა საბჭოდან, განათლებისა და კულტურის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაკებისაგან, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევდა პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახეთის მხარეში, ეროვნებით ქისტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ზაურ ბუშაშვილი. მას კარგად აქვს გააზრებული თუ რა გმირული, სარისკო და მეზობლის მიმართ ჰუმანური ნაბიჯი გადადგა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს ქართულ მიწაზე რუსეთის ჯარი არ გაატარა.

ეჭვმიტანილი პირების ოჯახებისა და ადგილმდებარეობის შემოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ პანკისის ხეობაში მძევლად აყვანილი იყო თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მკვიდრი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა. მოტაცებულის ადგილმონაცვლეობის გამო, მასთან პირდაპირი შეხვედრა ამ ოპერატიულმა ჯგუფმა ვერ მოახერხა, ამის სანაცვლოდ კი ეჭვმიტანილის შვილი ქისტებმავე აიყვანეს მძევლად და გადასცეს დაზარალებულის მშობლებს. ახლახანს ის აზერაბაიჯანელი ტყვეობიდან გაათავისუფლეს...

ხეობის ყველა აქტივისტი დაფიცებულია, რომ დამნაშავის აღმოჩენის დროს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში იგი ადგილზევე განადგურდეს, მის მკვლელს კი პასუხი არ მოეთხოვოს. ასევე, თუ დამნაშავის მიერ ვერაგულად გასროლილი ტყვიით რომელიმე რაზმელი დაიღუპება, ასეთ საერთოდ სახალხო სასჯელი – ჩაქოლვა ელის.

**იზა ჯაჭვაძე,**
„სრ“ სპეც. კორ.
ახმეტა-თბილისი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 7.

**პანკისის ხეობაში არსებული ვითარება დამატებითი ბლოკ-საგუშაგოების გახსნას არ მოითხოვს**

საქართველოს მსს შინაგანი ჯარების სარდლის, გენერალ-მაიორ გიორგი შერეამიძის განცხადებით, პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება რეგიონში შინაგანი ჯარების დამატებითი ბლოკ-საგუშაგოების გახსნას არ მოითხოვს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა შერეამიძემ, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა უახლოეს ხანებში მიღებული იქნას გადაწყვეტილება რამდენიმე ბლოკ-საგუშაგოს მოხსნის თაობაზე.

მისი თქმით, ბოლო ერთი თვის მანძილზე, რაც ეროვნული უშიშროების საბჭოს განკარგულებით პანკისის ხეობის მისადგომებთან შინაგანი ჯარების ბლოკ-საგუშაგოები გაიხსნა, რაიმე ექსცესი არ დაფიქსირებულა.

შინაგანი ჯარების სარდლის ინფორმაციით, ამ დროის განმავლობაში ხეობაში არ შესულა არც ერთი მოპარული მანქანა, არ დაფიქსირებულა ადამიანის გატაცების არც ერთი ფაქტი, ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებები.

**უშიშროების სამინისტრო უარყოფს**

„აბსურდულს და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულს“ უწოდებენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამშაბათს გავრცელებულ ცნობებს, დეკემბრის ბოლოს ათობით დაქირავებული არაბი მებრძოლის პანკისის ხეობაში შესვლისა და ტბატანასთან რაღაც „ჩეჩენი ბოევიკების მომარაგების ზამთრის ცენტრის“ არსებობის თაობაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს ოთხშაბათს სამინისტროში განუცხადეს, საეჭვოა, რომ მსგავსი დეზინფორმაციათა წყაროები რუსეთის სპეცსამსახურები იყვნენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## წიგნი

– აქ არაფერი ვიცოდი, – ჩაიბურტყუნა სარიჩევამ.

– ნამდვილად მჯერა, – დაეთანხმა ალექსეევი, – ამიტომაც გთხოვთ გამოძიებაში დახმარებას. აი, მეორე კაციც. ეს პოლკოვნიკი ლიაკუტისია, თქვენ მის შესახებ არ გაგიგიათ? ისიც მოკლეს, პირდაპირ სახლთან ახლოს. როგორც ხედავთ, მკვლელები არ აფერხებენ უკან არ იხევენ.

– მე მას არ ვიცნობდი, – მოიღუშა სარიჩევამ და ფოტოსურათი დაუბრუნა.

– ახლა მაინც ხომ მიხვდით, რა მორს მეიჭერით? – ჰკითხა იევლევმა, – და მაინც ესვრით თქვენს ყოფილ კოლეგებს.

– არ ვიცოდი, რომ ისინი ჩემი კოლეგები იყვნენ, – გაიმეორა სარიჩევამ. – მე მხოლოდ დავინახე, როგორ მოძრაობდა ჩემსკენ რამდენიმე ახალგაზრდა და პისტოლეტი ამოეიღე. ისიც არ ვიცოდი, რომ მეორე ახალგაზრდა, რომელიც სიცოცხლეში თვალით არ მინახავს, ასე უცნაურად მოიქცეოდა, რომ აღარა ვთქვა, ასე სულელურად მოიქცეოდა – სროლას ატეხდა.

– უცნაურია, – გაიმეორა იევლევმა, – მართლაც, რატომ ატეხა სროლა? თუ მას საბუთები არ ჰქონდა, ეს კიდევ არაფერს ნიშნავდა, საეჭვო ხომ არაა, ჯიბეში საბუთები გქონდეს. მას მათი წარდგენა მერეც შეეძლო. იარაღი კი შეიძლება მოეშორებინა, უბრალოდ მაგიდის ქვეშ შეეგდო. რატომ დაიწყო სროლა?

– თქვენ ფიქრობთ, ყურადღების გადატანა უნდოდა? – შეამცივნა ალექსეევს, მიხვდა რა, თუ როგორი შეცდომა დაუშვეს მან და მისმა თანამშრომლებმა.

– ჩემი აზრით, ეს მომხდარის ყველაზე ლოგიკური ახსნაა, – დაეთანხმა იევლევი, – მან ვიღაცისაგან ყურადღება გადაიტანა. მაშინ კიდევ ვიღაც იყო იმ ბარში.

– ჩანს, კვალიფიკაციას ეკარგავთ, – გაჯავრებით თქვა ალექსეევმა, – რასაკვირველია, ის ვიღაცას გადაეფარა, მაგრამ იმ მომენტში ძნელი იყო იმის მოსაზრება: ჯერ სროლა, შემდეგ ჩვენი თანამშრომლის დაჭრა – ჩემი ბიჭები აჩქარდნენ და ის „გმირი" მიახვრიტეს, როცა ქუჩაში გავარდნას ცდილობდა.

სარიჩევი ისევ ეწეოდა. შემდეგ მოულოდნელად ითხოვა.

– წყალი დამალევინეთ.

ალექსეევმა ჭიქაში წყალი დაუსხა ყოფილ კოლეგას. სარიჩევმა ერთბაშად გამოცალა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ჰკითხა:

– თქვენ დაადგინეთ, ვინ იყო ის ახალგაზრდა?

– ხომ ვთქვი, მას არავითარი საბუთები არ ჰქონდა, – შეახსენა ალექსეევმა, – რა, რაიმე მოსაზრება გაგიჩნდათ?

სარიჩევი კვლავ ეწეოდა.

– ნუ დუმხართ, სარიჩევ, – ვერ მოითმინა იევლევმა, – ყოველი წუთი, შეიძლება, რომელიმე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლედ ღირდეს. ნუთუ ეს არ გესმით?

– მე ლოზინსკი ერთ კაცთან უნდა შემეხვედრებინა, – ბოლოს ამოღერღა სარიჩევამ, შემდეგ კი იკითხა, – თქვენი თანამშრომელი გადარჩება?

– ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ, – უთხრა ალექსეევმა.

– ვისთან უნდა შეგეხვედრებინათ ლოზინსკი?

– მე საველიევმა დამირეკა და მითხრა, რომ ისინი შემეხვედრებინა, – ჩუმად თქვა სარიჩევმა, – ამაზე თქვენც იცით.

– თქვენ მოილაპარაკეთ დამატებით ვარიანტზე, – სწრაფად თქვა იევლევმა, – არ შეგეძლოთ, საველიევთან დამატებით ვარიანტზე არ შეთანხმებულიყავით, რა უნდა გექნათ, ლოზინსკი თუ შეხვედრაზე არ მოვიდოდა? თქვენ ხომ პროფესიონალები ხართ, თქვენ აუცილებლად უნდა გქონოდათ დამატებითი ვარიანტი.

– ასეთ შემთხვევაში ის კაცი იგნატი საველიევთან უნდა წამეყვანა, – ყრუდ აღიარა სარიჩევმა.

– ვინ იყო ის, ემმაკმა დაგლახვროთ? – ვერ მოითმინა ალექსეევმა.

– ლიტვის დაზვერვის რეზიდენტი მოსკოვში, – მაინც თქვა სარიჩევმა ლა თავი ჩაღუნა. შემდეგ, თვალები რომ არ აუწევია, ისე იკითხა, – ამ ჩვენებას გულწრფელ აღიარებაში ჩამითვლიან?

– თქვენ გინდოდათ, გეთქვათ, ახალგაზრდა, ჩვენს თანამშრომლებს რომ ესროდა, ლიტვის სპეცსამსახურების რეზიდენტი იყო მოსკოვში? – არ დაუჯერა ალექსეევმა.

– არა, დარბაზში კიდევ ვიღაც მესამე იყო. მეც ვფიქრე იმაზე, რომ იმ ახალგაზრდა კაცმა საგანგებოდ გასწირა სიცოცხლე, რათა ყურადღება თავისზე გადაეტანა და რეზიდენტისათვის წასვლის საშუალება მიეცა.

– ვინ იყო ის? – ერთდროულად ჰკითხეს ალექსეევმა და იევლევმა.

– ეს მე არ ვიცი, – უპასუხა სარიჩევმა, – მე მხოლოდ შეხვედრაზე მივედი, რომლის დროსაც უნდა მომეგვარებინა ლოზინსკის საუბარი იმ რეზიდენტთან. მათ ძალიან აინტერესებდათ დაკარგული დოკუმენტები და დიდი ფულის გადახდასაც აპირებენ.

– მათ როგორ დაუკავშირდით? – დაინტერესდა იევლევს, – თქვენ გქონდათ საკუთარი კავშირის წყარო?

– მან წერილი საფოსტო ყუთში ჩამიგდო, – გაეღიმა სარიჩევს.

– მართლაც, ძალიან მარტივია, – ჩაიდუდუნა იევლევმა, – ჩვენ ჭკვაზე ვიშლებით, ძვირადღირებულ აპარატურას ვთხოულობთ, ობიექტზე განუწყვეტელ თვალთვალს ვაწყობთ, ვიღაც კი ამ დროს უბრალოდ შედის სადარბაზოში და იქ წერილს ტოვებს. ვიღაცამ ხომ თქვა, – რომ ყველაფერი ახალი ამ ქვეყანაზე – კარგად დავიწყებული წარსულიაო.

– თქვენ წარმოგიდგენიათ, ვინ შეიძლება ყოფილიყო რეზიდენტი?

– არა, ვერ წარმომიდგენია, მე საერთოდ არც მიფიქრია, რომ ჩემი ლაშქრობა იმ ბარში ასეთი სისხლით დასრულდებოდა.

– გასაგებია, – ალექსეევმა იევლევს გადახედა. ძებნა ახლა მარტო მისი პირადი საქმე, მხოლოდ პოლკოვნიკ ლიაკუტისის დაღუპვის გარემოების გამოძიება კი არ იყო, არამედ ახალ, უფრო სერიოზულ სახეს ღებულობდა. საქმე ეხებოდა რუსეთის ტერიტორიაზე უცხოეთის სპეცსამსახურების საქმიანობას.

– სად შეიძლება საველიევის პოვნა? – პირდაპირ ჰკითხა ალექსეევმა, იევლევისათვის ყურადღება რომ არ მიუქცევია, რომელმაც თავი გააქნია, რითაც ანიშნა, რომ ეს ფუჭი კითხვააო, – სადაა იგნატ საველიევი?

– ნამდვილად არ ვიცი, – ჩაიბუტბუტა სარიჩევამ, – ვფიქრობ, რომ ის გერმანიაშია: ის ხშირად მირეკავდა გერმანიიდან. მაგრამ სახელდობრ, სად იმყოფებოდა, არ მეუბნებოდა. ის ხომ ოთხმოცდათერთმეტში დაიჭრა, თითქმის ორი წელი იწვა სხვადასხვა საავადმყოფოებში.

– როგორ თუ დაიჭრა? – გაიოცა ალექსეევმა.

– ამიტომაც არ ვეძებდით მაშინ მათ, – თქვა სარიჩევმა, – მათ მოკლულებად ვთვლიდით. იყო ორი გვამი. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ საველიევის და სემიონოვის გვამები იყო. ასე გვიჩვენეს ლოზინსკიმ და პოტაპჩუკმა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისინი ცოცხლები დარჩნენ.

– როგორ ვიპოვოთ საველიევი! – წამოხტა მოთმინებაგამოლეული ალექსეევი.

– მე ვიცი, სად ცხოვრობს მისი ძმა, – თქვა ბოლოს სარიჩევმა, – ბერლინის გვერდითაა, სულ ახლოს.



### ჩინგიზ აბდულაევი

# „გუშინდელი დღე მოძს ხვალეს"

### თავი XXI

იმ ღღეს ისინი ოტელიდან დილაადრიან გამოვიდნენ, უნდა მიესწროთ საგარეუბნო მატარებლისათვის, რომელიც მათ ლუკენვალდში ჩაიყვანდა. ვაგზალში ცოტა ადრე მივიდნენ, ვიდრე ვარაუდობდნენ. ბერლინის ერთიან მექანიზმში გაერთიანების მიუხედავად ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი ჯერ კიდევ არ გამოირჩეოდა ისეთი ყოვლისმომცველი კეთილდღეობით, როგორიც დასავლეთში იყო. ამასთან, უზარმაზარი ინვესტიციების გამო, რაც აღმოსავლეთის მიწებში, კერძოდ კი ბერლინში იდებოდა, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ მალე ქალაქი გადაიქცეოდა ევროპაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს დიდ და ლამაზ ცენტრად.

თარგმნა
ვალიკო
სიმონიშვილმა.
(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" 2000 წ. № 313-321, 323-334, 337, 339; 2001 წ. № 2-6.

---

# კალიფორნიაც ჩვენს დღეშია



**ჰოლივუდის კინოსტუდიები მუქს რთავენ ხოლმე დუბლებსმუა მესვენებებში. კალიფორნიაში ელექტროდენის უდიდესი მიმწოდებელი მომხმარებელს მოუწოდებს, მოუკლონ მუქს საშობაო ნაძვისხეებზე და არ ჩართონ სარეცხი მანქანები საღამოს 8 საათამდე.**

**შტატი, რომელსაც ბევრი აიგივებს „თანამედროვეობის" ცნებასთან, ახალ ათასწლეულში შევიდა სრულიად რეალური შესაძლებლობით, რომ მთლიანად გამოერთვება სინათლე.**

ნახევარი წლის განმავლობაში, ელექტრობის ორი უდიდესი მიმწოდებელი კალიფორნიელ მომხმარებელს აფრთხილებდა, რომ სულ მალე სრული ელექტრული აპოკალიფსის დღე დადგებოდა.

ამ ზაფხულს ელექტრობის შეფერხებები იყო მთელ შტატში – განთქმული სილიკონის ველის სამშობლოში.

დეკემბრის დამდეგს შტატის ხელისუფლებმა გამოაცხადეს „მეხუთე ხარისხის საგანგებო წესები", რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ელექტროენერგიის მოხმარება კიდევ ხუთი პროცენტით გაიზრდება, შტატი უდენოდ დარჩება.

რა მოსდის კალიფორნიის ენერგოსისტემას?

ბრიტანული „სანდი ტელეგრაფი" ვარაუდობს, რომ შტატის ენერგეტიკის მთავარი პრობლემაა ზემოხმარება პლუს ეკონომიკის ზედმეტი სახელმწიფო რეგულირება.

კალიფორნიის შტატის კანონის მიხედვით, ელექტროენერგიის მიმწოდებელ კომპანიებს აკრძალული აქვთ ენერგიის ტარიფების მომატება შტატის კანონმდებელთა ნებადაურთველად. ამავე დროს, ელექტრობის მწარმოებლები, რომლებზეც არ ერცელდება ასეთი შეზღუდვები, განვლილი წლის მანძილზე სისტემატურად ზრდიდნენ ფასებს.

ელექტროენერგიის მიმწოდებლები ამტკიცებენ, რომ ისინი ზარალობენ და ფაქტობრივად მომხმარებლებს იქით უმატებენ ფულს ყოველი გამოყენებული კილოვატისათვის.

კალიფორნიელი ელექტრობის მიმწოდებლები ბაკროტების საფრთხემ წინა კვირას დიდი პრობლემები შეუქმნა უდიდეს ამერიკულ ბანკებს, რომლებიც ამ კომპანიებს აკრედიტებდნენ.

აქციონერებმა იგრძნეს, რომ ამ ბანკების მსესხებელთა პრობლემებმა ვალების დაბრუნებასთან დაკავშირებით შეიძლება, სიძნელენი შეუქმნან თვით ბანკებს და სასწრაფოდ დაიწყეს თავიანთი აქციების გაყიდვა.

ხმა დაირხა, რომ ყველაზე მაღალი დონის პოლიტიკოსები იღებენ ზომებს, რათა გადაარჩინონ კალიფორნიელი ელექტრული გიგანტები.

სამშაბათს პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციამ გამართა შეხვედრა, რათა გადაეჭრა პრობლემის გადაწყვეტის საკითხები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფინანსთა და ენერგეტიკის მინისტრები. მაგრამ საშველი არ ჩანს.

ერთ-ერთი უდიდესი კომპანია ამჟამად სესხულობს მილიონ დოლარს საათში, რათა გაისტუმროს ელექტროენერგიის მიწოდება კომპანიის 4,5 მილიონი მომხმარებლისათვის. დეკემბრის დამლევს სხვაობამ ხარჯებსა და ელექტრობის ღირებულების გასტუმრების თანხებს შორის 4,9 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ ფულს კომპანია ველარასოდეს დაიბრუნებს და მას გაკოტრება ემუქრება, თუ არ მიიღებს სახელმწიფო დახმარებას ან შტატის კანონები არ შეიცვლება ისე, რომ მან გაზარდოს მუქის ქირა.

„წუთითაც ვერ დავიჯერებ, რომ პოლიტიკოსები იმდენად ბრიყვები არიან, რომ ქვეყნის უდიდესი შტატის კომუნალური მომსახურების ინდუსტრია გააკოტრონ", – აცხადებს ანალიტიკოსი ლორენს კონი.

არსებობს საფრთხე, რომ ენერგეტიკული კომპანიების გაკოტრებას მოჰყვება ქვეყნის საბანკო სექტორის კრიზისი, რაც გააქარწყლებს ფედერალური რეზერვის ძალისხმევას, რომლის მიზანიც არის, შეაშველოს ხელი ეკონომიკას დისკონტის განაკვეთების შემცირების გზით.

პრაქტიკულად ელექტროენერგიის მოთხოვნამ მკვეთრად გადააჭარბა მიწოდებას, რასაც შედეგად მოჰყვა მისი ფასების მკვეთრი ზრდა.

ელექტრობის კრიზისის გადაჭრის ერთ-ერთი შესაძლო ხერხი – ატომური სადგურების აშენება – თითქმის შეუძლებელია იმის გამო, რომ „მწვანეები ძლიერ გაელენას ახდენენ შტატის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ასე რომ, კალიფორნიელებს, ალბათ, მოუწევთ გადაიყვანონ თავიანთი კონდიციონერები HIGH გრადაციული მდებარეობიდან MEDIUM მდებარეობაში, რაც ეჩვეულია შტატისათვის, რომელმაც არაფერში არ იცის ზომა.

---

# „№1 ტერორისტის" შვილი დაოჯახდა

**ახლო აღმოსავლეთის ტელევიზიამ გაავრცელა კადრები, რომლებზეც აღბეჭდილია გავარდნილი ტერორისტის უსამა ბენ ლადენის ვაჟისა და მისი უახლოესი თანამოსაგრის აბუ ხაფს ალმასრის ქალიშვილის ქორწილი.**



ცერემონია გაიმართა ავღანეთის ქალაქ ყანდაჰარში და სამოყვარულო კამერით არის გადაღებული. თუმცა, საოჯახო დღესასწაული კადრს მიღმა დარჩა – ფირზე აღბეჭდილი არიან მხოლოდ „№1 ტერორისტი", მისი შვილი მუჰამედი და ბენ ლადენის მძახალი.

ფირს არ ახლავს ბგერა, მაგრამ ჩანაწერის თანმხლებ პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ ბენ ლადენმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც მხარი დაუჭირა პალესტინელთა ინტიფადას. როგორც როიტერი იუწყება, ქორწილს აგრეთვე ესწრებოდა ავღანეთის მთავრობის რამდენიმე მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.

---

# ორმაგი წნეხი



ჩეჩნეთში ყოველკვირეულად 20-მდე სამხედრო მოსამსახურე იღუპება.

**ჩეჩნეთის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ უძლურნი არიან, „ვინაიდან ფედერალური ხელისუფალნი არ იღებენ რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებებს".**

ასეა ჩამოყალიბებული ჩეჩნეთის ორი რაიონის ადმინისტრაციის მეთაურების პონომარენკოსა და სტოროჟენკოს გადადგომის მიზეზები არზაში, რომელიც მათ გადასცეს დროებითი ადმინისტრაციის მეთაურს აჰმად კადიროვს. თვით კადიროვი, როგორც ცნობილია, იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ყოველივე მომხდარისათვის მოსახლეობისა და კრემლის წინაშე პასუხისმგებლობის უდიდესი ტვირთის გამო მას პრაქტიკულად არ გააჩნია არავითარი უფლებამოსილება, გაელენა მოახდინოს ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებზე.

მეთვალყურეთა აზრით, დროებითი ადმინისტრაცია მეომარი მხარეების ორმაგი წნეხის ქვეშ არის მოქცეული. მას გამუდმებით ემუქრება საფრთხე სეპარატისტთა მხრივ, იძულებულია, დაიცვას რუსი ჯარისკაცებისაგან მშვიდობიანი მცხოვრებნი რეგულარული „წმენდის" დროს. და ამასთანავე, მას შეიძლება დააბრალონ „ბანდიტების შეფარება". გარდა ამისა, ადმინისტრაციის მეთაურები არათუ ვერ იცავენ ხალხს თარეშისაგან, არამედ ვერც ვერაფერს წყვეტენ სამუშაოთი, პურითა და სითბოთი მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხებში. მათი პოლიტიკური წონა პირად ავტორიტეტზეა დამოკიდებული. როგორც ჩეჩნური წყაროები იუწყებიან, სოფელ კურჩალოის ადმინისტრაციის მეთაური ამ რამდენიმე დღის წინათ შეეცადა, წესრიგისაკენ მოეწოდებინა ფედერალური ჯარების სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც თანასოფლელების თვალწინ სასტიკად სცემეს, ხოლო ადგილობრივი პრომოსკოვური მილიცია, ბი-ბი-სის ცნობით, ვითომდა განიარაღებული იყო.



ადმინისტრაციის მეთაურებს არაფერი ეკითხებათ.

ამ ფონზე აჰმად კადიროვის იდეა, ჩამოყალიბოს ჩეჩნეთის მთავრობა და საიმედო ადგილობრივი მილიცია, უტოპიურად გამოიყურება. ჩეჩნეთის მილიციას არ ენდობიან არა მარტო ფედერალები, არამედ თვით ჩეჩნური ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. იგი ცუდად არის დაკომპლექტებული, აღჭურვილი და გაცილებით უარესად არის გათვითცნობიერებული საბრძოლო ხელოვნებაში, ვიდრე მოთარეშენი.

გრძელდება ნაღმებისა და ბომბების აფეთქებების ომიც. ყოველდღიურად, ფედერალური დაჯგუფების მონაცემებით, მესანგრეები 20-მდე ფუგასს უვნებელყოფენ. ამ ბოლო დღეებში აქტიური საბრძოლო მოქმედების ეპიცენტრმა გადაინაცვლა რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ მთისწინეთში. მაგრამ ფედერალურ ბლოკპოსტებსა და ჯავშანტექნიკას პრაქტიკულად ყველგან ესხმიან თავს.

ხოლო იორდანელი ხატაბი თავის ბოლო ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ მოჯაჰედების ძირითადი ძალები, უკვე, კარგა ხანია, გაეცალნენ მთას, სადაც მათ რუსები ბომბებს უშენდნენ, და სხვა ადგილებში არიან კონცენტრირებულნი, წერს დასასრულ **თემურ ვარკი, ბი-ბი-სის** სპეციალური კორესპონდენტი.

---

# წუშის პირველი დანაკარგი

**ლინდა ჩავესმა, რომელსაც ახლადარჩეულმა ამერიკის პრეზიდენტმა შრომის მინისტრად დანიშვნა მოუნდომა, აცილება მისცა თავის კანდიდატურას. მას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ 90-იანი წლების დამდეგს თავის სახლში შეიფარა არალეგალური გვატემალელი იმიგრანტი ქალი.**

პრესკონფერენცია, რომელიც ვაშინგტონში გამართა ჩავესმა, პირველი სერიოზული დარტყმა გახდა რესპუბლიკელთა პარტიისათვის.



ჩავესმა განაცხადა, რომ სინანულით მიდის. მისმა საქციელმა შეიძლება, „ცუდი მაგალითი მისცეს იმათ, ვისაც სურს, ემსახუროს ამერიკელ ხალხს".

თავისი კრიტიკა ჩავესს მიაჩნია „ვაშინგტონის პოლიტიკის და პიროვნების ნგრევის პოლიტიკურ ტიპიურ გამოვლინებად".

ორშაბათს ბუშმა განაცხადა, რომ მას სჯერა ჩავესისა. მაგრამ შემდეგ გამოტყდა, რომ არაფერი იცოდა არალეგალურ იმიგრანტ ქალთან დაკავშირებული სიტუაციისა.

---

# „ბალკანური სინდრომი" ერაყში დაიწყო



**„მწირურანიანმა ყუმბარებმა და რადიაქტიურმა დაბინძურებამ მრავალი წლით მოწამლეს ერაყის მიწა-წყალი. რადიაციის გამო გახშირდა კიბოთი და ლეიკემიით დაავადების, ბავშვთა თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევები", – ასე იწყება ერაყის უბედური მდგომარეობისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ლიბანელმა რეჟისორმა გადაიღო. შეიძლება, ეს გაზვიადებაც იყოს, მაგრამ საერთაშორისო იზოლაციის გამო, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა სპარსეთის ყურის ომის შედეგად, დამოუკიდებელი ინფორმაცია სხვა ქვეყნებში ვერ გადიოდა.**

არ ტარდებოდა გამოკვლევები დასავლელი სპეციალისტების მონაწილეობით. მაგრამ ერაყელ მეცნიერთა და მედიკოსთა მონაცემები, მართლაც გამაოგნებელია. მასრას პროვინციაში, რომელიც ძლიერ დაბომბვებს განიცდიდა, ცხრაჯერ გახშირდა ლეიკემიითა და სხვა ფორმების კიბოთი დაავადების შემთხვევები.

„ამერიკისა და ბრიტანეთის ავიაციამ ერაყში სამას ტონაზე მეტი ურანი ჩამოყარა. ომამდე, ჩვენი სტატისტიკის მიხედვით, ლეიკემიით დაავადება შეადგენდა 11 კაცს 100 ათასზე. ამჟამად მათი რიცხვი ასს აღწევს", – აცხადებს ექიმი ჯავად ალ-ალი.

ქუვეითის საზღვრის მახლობლად მდებარე საავადმყოფოში ძირითადად ჯარისკაცები მკურნალობენ, მაგრამ არიან პაგარა ბავშვებიც. ერაყელი ექიმები იმედოვნებენ, რომ სკანდალი, რომელიც „ბალკანური სინდრომის" ირგვლივ ატყდა, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობს მათ ქვეყანასაც.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით
უძღვებიან
*არჩილ მანჯგალაძე,*
*კახა ქორიძე.*

---

# სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" კონკურსი

### I. საფუძველი:

2000 წლის 6 ივლისს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი გაზსადენის სისტემის (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი) პროექტის (შემდგომში „პროექტი") განვითარებისათვის ორი ქვეყნის თანამშრომლობას. ამ პროტოკოლის თანახმად, შეთანხმებული იქნა ის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზედაც შემუშავდება და განხორციელდება აღნიშნული პროექტი მომავალში.

პროტოკოლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მზადყოფნა საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 21 ივლისის №311 ბრძანებულების გამოცემით დაადასტურა, რომლითაც პროექტში მონაწილე პოტენციურ ინვესტორებს (ბრიტანულ-ამერიკული კომპანია „ბი-პი" და სხვ) საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარების უფლება მისცა და ამგვარი სამუშაოების ჩატარების მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ, რომელსაც შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე აღნიშნულ პროექტებში წარმოადგენს საქართველოს მხარე, კომპანია „ბი-პი"-სთან გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად კორპორაციამ უნდა ჩამოაყალიბოს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც კორპორაციის ხელმძღვანელობით ითანამშრომლებს კომპანია „ბი-პი"-სთან და მონაწილეობას მიიღებს პროექტთან დაკავშირებული წინასწარი კვლევების განხორციელებაში და სამუშაოების ხასიათიდან გამომდინარე, სათანადო კონსულტაციას გაუწევს კორპორაციას.

### II. სპეციალისტთა ჯგუფები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილია სპეციალისტთა ჯგუფების ჩამოყალიბება შემდეგი 3 მიმართულებით:

**1. გარემოს დაცვა:**

• სამუშაოს დასახელება: პროექტთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი სტრატეგიის შემუშავებისას კვალიფიციური რჩევების გაწევა, რაც ითვალისწინებს: მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის და ექსპლოატაციიდან გამოყვანის ეტაპებს.

• გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ჩამოყალიბებისას მონაწილეობის მიღება: კადასტრის შემუშავებაში, ატმოსფერული დისპერსიის სათანადო მოდელირებაში, კუმულატიური ეფექტის შეფასებაში, გარემოზე ზემოქმედების შერბილებისა და მონიტორინგის მეთოდების შემუშავებაში. სხვადასხვა საპროექტო ვარიანტების შედარებაში, გარემოზე ზემოქმედების (ფლორა, ფაუნა, ჰაერი, წყალი, ხმაური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ასპექტები) რისკის შეფასებაში და სხვა.

**2. ტექნიკური:**

• სამუშაოს დასახელება: გეოტექნიკური (ნიადაგისა და ქანების სახეობების ტექნიკური განსაზღვრა, მილსადენის მარშრუტის სტრატიგრაფიული და ჰიდროლოგიური ანალიზი) და ტოპოგრაფიულ (მილსადენის გადაკეთების, რელიეფური პროფილირების) სამუშაოებში მონაწილეობა და კონსულტაციების გაწევა.

**3. ინჟინერინგი**

• სამუშაოს დასახელება: რჩევები და კონსულტაციები საინჟინრო-ინფრასტრუქტურული (გზები, ხიდები, სამშენებლო ფუნდამენტები და ა. შ.) და მილსადენის საინჟინრო (მილსადენის პროექტირება) სამუშაოებზე.

### III. კვალიფიკაცია და გამოცდილება

1. უმაღლესი განათლება და/ან მინიმუმ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში:

2. ქართული, ინგლისური და რუსული ენების პრაქტიკული ცოდნა;

3. დარგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სათანადო ცოდნა;

4. კომპიუტერთან მუშაობის სათანადო გამოცდილება;

5. ჯგუფში მუშაობის გამოცდილება;

6. ინფორმაციის ანალიზისა და მისი წერილობითი გადმოცემის უნარი.

7. საველე პირობებში მუშაობის გამოცდილება.

### IV. ანგარიშგება

სპეციალისტებმა შესაბამის დარგებში საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას უნდა გაუწიონ კვალიფიციური რჩევები და შეასრულონ სამუშაოდან გამომდინარე სხვადასხვა დავალებები.

სპეციალისტი ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის წინაშე.

დაინტერესებულმა პირებმა ავტობიოგრაფია რეზიუმეს სახით (CV) უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში შემდეგ მისამართზე:

**სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია",
თბილისი, 300 არაგველის ქ. №24, 380044
ტელ: 922-955, 922-961/62, ფაქსი: 923229,
ელ-ფოსტა: public@ggic.ge საკონტაქტო პირი: გია აბაშიძე.**

კონკურსი ცხადდება მხოლოდ **ფიზიკური პირებისათვის**. შესაძლებელია ძირითად სამუშაოსთან შეთავსება. წარმატებულ კანდიდატთა ხელფასის ანაზღაურება მოხდება კომპანია „ბპ"-ის მიერ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

[illegible]



# ალიოშა ცინცაძის სკოლადამთავრებულთა სიამაყე
## დიდოსტატი მზრდელი ყრმისა

მაელის გზა; ვის არ უსწავლია აქ, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო მოღვაწეთ, რომელთა სახელებიც ამშვენებს თბილისს, საქართველოს, ბევრი მათგანი ცნობილია მის ფარგლებს გარეთაც; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალეკო თავხელიძე, კომპოზიტორები რევაზ ლაღიძე, გია ყანჩელი, არჩილ ჩიმაკაძე, ვაჟა აზარაშვილი, სულხან ნასიძე; მსახიობები გურამ საღარაძე, მედეა ჯაფარიძე, მარინე ჯანაშია, თათული დოლიძე, დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ანზორ ქუთათელაძე, ლერი პაქსაშვილი; მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე, არქიტექტორი ოთარ ლითანიშვილი, პარლამენტარები ნიკო ლეკიშვილი, ზეზვა ლულუნიშვილი; მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი; გამოჩენილი მხატვარი და მოქანდაკე ზურაბ წერეთელი, პოეტი მიხეილ ქელივიძე, ცნობილი წყალბურთელი პეტრე მშვენიერაძე, აკადემიკოსი გიორგი ხარაძე, მწერალი რევაზ ჯაფარიძე, აქედან გაუდგა მეორე მსოფლიო ომის ფრონტის გზას და გმირულად დაეცა საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ჩიქოვანი...

იმ დღეს სკოლაში მივიდნენ კურსდამთავრებულები, ყოფილი პედაგოგები, ალიოშა ცინცაძის შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... მათ სკოლის დირექტორი რამაზ მღებრიშვილი, პედაგოგები, ახალი თაობის მოსწავლეები, მათი მშობლები მასპინძლობდნენ. ეს იყო საოცრად გულთბილი შეხვედრა ყოფილ პედაგოგებთანაც ლეილა სიმონიასთან, ქუქუნა გორგოძესთან, ჯულიეტა გაბატაძესთან, და ბევრი რამ, რითაც დედაქალაქში იყო ცნობილი ეს სკოლა და მისი დირექტორი; – გამორჩეული კეთილშობილებით, მოსწავლეებთან ურთიერთობით, წესრიგითა და აკადემიური წარმატებით. სკოლის თავკაცი კოლექტივისთვის მაგალითი თვითონ გახლდათ.

შეხვედრა ყოფილმა მოსწავლემ, „ქართული ხმების" მომღერალმა გია ჭირაქაძემ წარმართა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჩხეიძეების, ბარბაქაძეების, ფარცვანიების და სხვათა მე-3, მე-5 თაობის წარმომადგენლები, რომლებიც თავს ვალდებულად თვლიან ისწავლონ იმ სკოლაში, სადაც მათი მამა-პაპანი ეუფლებოდნენ ცოდნას, პიროვნებებად ყალიბდებოდნენ...

და მთავარი... იყო ხსენება ალექსანდრე ცინცაძისა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა აღზრდილებში, პედაგოგიურ კოლექტივში; ასეც ამბობდნენ, ის იყო ჩვენი გზამკვლევი, დღემდე სიამაყით წარმოვთქვამთ, რომ ჩვენ ალიოშა ცინცაძის სკოლიდან ვართო!

**პროფესორი ნოდარ კიკვაძე:** – მის დროს სკოლაში მამაკაცი მასწავლებლები არც ისე ცოტანი იყვნენ. იცოდა თქმა, უმამაკაცო სკოლა არ შეიძლებაო. მოსწავლეები კარგად ვიცნობდით მისი ოჯახის წევრებს, მის შვილებს, ოჯახში ვსტუმრობდით კიდეც, სადაც მუდამ გულთბილად გვიღებდნენ. დღეს თანდათან რთულდება სასკოლო ცხოვრება, მრავალი წინააღმდეგობა წარმოიქმნა, რომელთა დაძლევა სკოლის მუშაკებზე აღარ არის დამოკიდებული და მათ შესაძლებლობებს აღემატება. მოსწავლეები ვგრძნობდით როგორ წარმართავდა ის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, როგორ იბრძოდა მო- თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატი გახდი. ალიოშა მასწავლებელი ჩვენთან გაკვეთილზე შემოვიდა და განაცხადა: – ბავშვებო, თქვენ კლასში გყავთ ლაურეატი... გილოცავთ! ჩემთვის ფუხბედნიერი აღმოჩნდა თანაკლასელების თვალწინ მისი პირველი დალოცვა...

**მომღერალი გია ჭირაქაძე:** დღემდე ყველას გვეამაყება, რომ ამ სკოლაში ვსწავლობდით. ეს სულით ხორცამდე პედაგოგი ყველა წლის გამოშვებასთან იღებდა სურათს. ახსოვდა ყველა გვარით, სახელით... აინტერესებდა თითოეულის გზა, შოღვაწეობა.. „მატალოს" ვერ იტანდა, თუმცა ხშირად გვიხდებოდა „მატალოს" მოყვარულთ მის წინ თავჩაქინდრული ყოფნა... სკოლიდან „გასასტუმრებლად" კი მაინც ვერ გვიმეტებდა... არ მახსოვს ცელქობისა თუ ოროსნობისთვის ვინმე სხვა სკოლაში გადასვლაზე აეძულებინა.

**კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი:** – ყოფილი თანაკლასელები თუ სკოლელები დღემდე მეგობრებად დავრჩით. ალიოშა მასწავლებელი გვასწავლიდა ასეთ მეგობრობას. ის მარტო დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი არ იყო. სიმღერა, რომელიც აქ შესრულდა, მას მივუძღვენი...

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ეთერ ბოცვაძე:** – სკოლაა ყველაფრისა და მომავლის საფუძველი, სასწავლებლისათვის ისეთი ხელმძღვანელია აუცილებელი, როგორიც ალიოშა მასწავლებელი იყო. დღეს ამ დარბაზში მთელმა ნიჭიერებამ მოიყარა თავი, რომლის განვითარებას მან და მისმა კოლექტივმა თავის დროზე მისცა გასაქანი. ფეხზე წამოდექით, ბატონებო, მასწავლებლის ხსენებაზე, პატივი ვცეთ მის ხსოვნას, პატი-

[illegible] ვარ წყაროს მეუხელებელი ემოციურობა წარმოადგენდა, პედაგოგისა და მოსწავლეების აქტიური ურთიერთთანამშრომლობა, აქ სწავლობდა მამაჩემი, აქ ვსწავლობდი მე და ეს სკოლა დაამთავრეს ჩემმა შვილებმა; არ შეგვიძლია დავივიწყოთ დირექტორიც და პედაგოგებიც დიდი სიყვარულისა, სიმკაცრის გამოც, რომელიც აუცილებელი იყო ჩვენი აღზრდისათვის; როცა ალიოშა მასწავლებელი დერეფანში გაივლიდა, კედელს ავეკვრებოდით ხოლმე. მისი კი არ გვეშინოდა, გვერიდებოდა.

...მოგონებები გაგრძელდა. მას სცვლიდა თბილისის ოპერის სოლისტის, ამ სკოლის აღზრდილის გია გაგნიძის მიერ შესრულებული არიები ქართული ოპერებიდან, სასკოლო ბავშვთა გუნდის გამოსვლები, თეატრალიზებული სცენები საქართველოს წარსულიდან და ა. შ.

სტუმარ-მასპინძლებს ამ მშვენიერი საღამოსთვის მადლობა მოახსენა ალექსანდრე ცინცაძის ვაჟმა, განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილემ გურამ ცინცაძემ. მან გაიხსენა მამის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები:

– მამა 1997 წლის დეკემბერში გარდაიცვალა; სიკვდილის წინ მიხეილ ქელივიძის ლექსი „დედაქალაქს დააკლდა კაცი" წავუკითხა. შემდეგ კომპოზიტორების გია ყანჩელისა და ვაჟა აზარაშვილის სიმღერების ფირი ჩავურთეთ... ცრემლმორეულმა აღზრდილების სურათებით სავსე ალბომები გადაშალა. მათზე ფიქრით წავიდა ამქვეყნიდან.

არც არის გასაკვირი. ის ხომ ერთ-ერთი იმ ბედნიერ ადამიანთაგანი იყო, რომელმაც თავისი მამულიშვილობით, ხანგრძლივი უანგარო და ნაყოფიერი შრომით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თაობათა სწავლა-აღზრდის საქმეში და არა მარტო ნამოწაფარების, მათი მშობლების, ფართო საზოგადოებრიობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. მთელი 64 წელიწადი იღვაწა სკოლის ხელმძღვანელად. უმისოდ არ შეიძლება თბილისის რკინიგზის (ამჟამად 150-ე) პირველი სკოლის ხსენება. ასეთია ყრმათა დიდოსტატ მზრდელის მიერ განვლილი გზა.

**ნათელა ფაილოძე.**

### ჯანდაცვა
## ათეროსკლეროზი თავის ძალაუფლებას სამუდამოდ დათმობს?

**როგორც ჩანს, იპოვეს ამ დაავადებასთან ბრძოლის კიდევ ერთი ხერხი, რომლის შედეგად ყველაზე მეტად იტანჯებიან ხანდაზმულები. თუმცა, ახალგაზრდებსაც ხშირად ემართებათ ხოლმე ეს...**

– როცა მათემატიკური მოდულირება გამოვიყენე, გავაანალიზე სისხლძარღვებზე ქოლესტერინის ბალთების და გაქრობის ხასიათი, –უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვანტური ელექტრონიკის ლაბორატორიის გამგემ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მერაბ ჯიბლაძემ. – კვლევამ ცხადყო, რომ თუ ორგანიზმზე წითელი და ინფრაწითელი დიაპაზონის ფერადი იმპულსებით ვიმოქმედებთ, ყველა ბიოქიმიური რეაქცია გაიზრდება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ამ ბალთების ფენის შემცირებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სინათლის დასხივების მეშვეობით შეიძლება შევებრძოლოთ ათეროსკლეროზს. აღსანიშნავია ასევე, რომ მეცნიერის მუშაობის შედეგებით დაინტერესდნენ საქართველოს ნევროლოგიის ინსტიტუტში და ამჟამად წარმოებს ექსპერიმენტის ერთობლივი განხილვა.

**საქინფორმი.**

### კინო
## „თბილისს ვერ დაივიწყებ..."

რუსმა კინოხელოვნებმა მიშიკო კალატოზიშვილმა და ალექსანდრე კულიჯანოვმა დაამთავრეს მუშაობა სრულმეტრაჟიან სატელევიზიო ფილმზე „ნოსტალგია", რომელიც რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის „აბკ" სტუდიის დაკვეთით არის გადაღებული. მაგრამ, როგორც მისი შემქმნელები აცხადებენ, ამ ფილმით მათ პატივი მიაგეს მამების – ცნობილი რეჟისორების მიხეილ კალატოზიშვილისა და ლევ კულიჯანოვის ხსოვნას. ისინი ძირძველი „თბილისელი ბიჭები" იყვნენ და, როგორც კი ერთად შეიყრებოდნენ მხოლოდ თბილისზე და თბილისელ მეგობრებზე ლაპარაკობდნენ, „თბილისს ვერ დაივიწყებო", ამბობდნენ ისინი და შვილებსაც, თითქოსდა გენეტიკურად გადაეცათ მათი სიყვარული. სხვანაირად ძნელია იმის ახსნა, თუ როგორ შეძლეს ახალგაზრდა ხელოვნებმა, შეექმნათ ასეთი გულში ჩამწვდომი ფილმი, რომელსაც თბილისის ტელევიზიაც უჩვენებს.

**საქინფორმი.**

## საქართველოს დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია ა. წ. 4 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" №2 გამოქვეყნებული ტენდერის შესახებ განცხადებაზე დამატებით დაინტერესებულ პირებს აცნობებს, რომ საკვალიფიკაციო მონაცემები, თანახმად საქართველოს კანონისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (თავი 3, მუხლი 10, პ.1) უნდა შეიცავდნენ შემდეგ მონაცემებს:

1. ცნობა იმის შესახებ, რომ საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის მომენტისათვის პრეტენდენტი იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

2. ცნობა იმის შესახებ, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელები არ იყვნენ მსჯავრდადებული ან საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს წარდგენილი ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე და მათი მიღება შეწყდება ა. წ. 29 იანვარს 12.00 სთ-ზე.

პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, მიიღებენ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის – 500 ლარის გადახდის შემდეგ ქართულ ან რუსულ ენებზე.

ტენდერში მონაწილეთა სატენდერო წინადადებები გაიხსნება ა. წ. 16 თებერვალს 12.00 სთ-ზე, ასოციაციის ცენტრალურ ოფისში: თბილისი, ქავთარაძის 27. გამარჯვებული გამოცხადდება ა. წ. 19 თებერვალს 12.00 სთ-ზე იმავე ოფისში.

**შესასყიდი საქონლის მოწოდება არაუგვიანეს 2 თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან.**

### ქველმოქმედება

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმო შეხვედრა გაიმართა – საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გერმანელმა ალექსანდრ ფონ გლაიხმა ფულადი პრიზები გადასცა ჩვენი ქვეყნის პერსპექტიულ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს, სხვადასხვა ასაკში მსოფლიო და ევროპის პირველობების ჩემპიონებსა და პრიზიორებს – ანა მათნაძეს, ლელა ჯავახიშვილს, სოფიკო ხუხაშვილს, ნანა ძაგნიძეს, ბაადურ ჯობავას და ზვიად იზორიას. მოჭადრაკეთა სახელით ქველმოქმედს მადლობა გადაუხადეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა და საერთაშორისო დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ. დამსწრეთ გააცნეს საერთაშორისო დიდოსტატის ზურაბ აზმაიფარაშვილის მიერ ჟენევიდან ალექსანდრ ფონ გლაიხისადმი გამოგზავნილი მადლობის წერილი.

საზეიმო შეხვედრის დამთავრების შემდეგ გერმანელმა ბანკირმა მითხრა:



## გერმანელი ბანკირი ქართველ მოჭადრაკეებს ეხმარება

– ჭადრაკი ბავშვობიდანვე მიტაცებდა. 14 წლისამ ვარჯიში დავიწყე მშობლიური ქალაქის – ჰამბურგის საჭადრაკო კლუბში, რომლის წევრებს გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დიდოსტატი თამაზ გიორგაძეც ამეცადინებდა. ვმონაწილეობდი სხვადასხვა შეჯიბრებაში. ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე სწავლისას არაერთხელ მითამაშია გერმანიის თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირებშიც. ვარ ფიდეს ოსტატი. ამჟამად ჩემი რეიტინგია 2330.

მუშაობა რომ დავიწყე, აქტიურ ჭადრაკს თანდათან ჩამოვშორდი. არადა, ჭაბუკობისას საკმაო ამბიციები მქონდა – ძალიან მინდოდა, საერთაშორისო დიდოსტატობისთვის მიმეღწია.

**– თქვენ ჩინებულად ლაპარაკობთ რუსულად...**

– 1995 წლამდე გერმანიის ბანკში ვმუშაობდი. ორი წელიწადი ევრობანკის წარმომადგენელი ვიყავი რუსეთში. მომდევნო ორი წელიწადი იმავე მოვალეობას ვასრულებდი საქართველოში. 1999 წლიდან მიკროსაფინანსო ბანკის გენერალური დირექტორი ვარ. ჩვენი ბანკი მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად შეიქმნა. გვაქვს ფილიალები ლილოსა და ქუთაისში. სულ მალე გავხსნით ფილიალებს ბათუმსა და ფოთშიც. ასე რომ, ჩვენი მომსახურების არეალი დღითიდღე ფართოვდება. ამდენად, ვალდებული ვარ ქართულიც კარგად ვისწავლო, მით უმეტეს, რომ მეუღლე ქართველი მყავს – ნინო ქაცარავა, რომელიც პროფესიით იურისტია. ორ შვილს ვზრდით – სანდროს და ლუკას.



**– ახალ საუკუნეში თქვენ ერთ-ერთმა პირველმა გამოიჩინეთ ყურადღება მოჭადრაკეთა მიმართ. რა იყო ეს – ერთჯერადი დახმარება თუ მომავალშიც აპირებთ მათთვის ხელის გამართვას?**

– საქართველოს უდიდესი ტრადიციები აქვს. მარტო ნონა გაფრინდაშვილის და მაია ჩიბურდანიძის სახელები რად ღირს. სამი წელიწადია, თავად ვხედავ თქვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეების წინსვლას. მათ ფინანსური დახმარება სჭირდებათ დიდ არენაზე გასასვლელად. მე უკვე ვესაუბრე საქართველოს ჭადრაკის მესვეურებს და ერთიანი სამოქმედო გეგმაც დავსახეთ. კერძოდ, გადავწყვიტეთ, სტიპენდიები დავუნიშნოთ პერსპექტიულ მოჭადრაკეებსა და მათს მწვრთნელებს, ფინანსურად დავეხმაროთ ამჟამად მოქმედ დიდოსტატებსაც, გავმართოთ საერთაშორისო ტურნირები, მოვიწვიოთ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები, ჩამოვაყალიბოთ ქალთა და ვაჟთა გუნდები, რომლებიც მსოფლიო და ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში იასპარეზებენ, ოღონდ ერთი პირობით – გუნდებში მხოლოდ ქართველები ითამაშებენ, რათა მომავალშიც დავუმტკიცოთ მთელ პლანეტას, რომ ქართული საჭადრაკო ფენომენი უნიკალური მოვლენაა. ცხადია, ამ დახმარებისას არ გამოვრიცხავთ პროფესიულ დაინტერესებასაც: ბრიტენთა თამაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში, ამდენად, ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებები ჩვენი ბანკის რეკლამაც იქნება.

ესაუბრა **ვაჟა დანელია.**

**სურათებზე:** ალექსანდრ ფონ გლაიხი ფულადი პრიზით აჯილდოებს სოფიკო ხუხაშვილს; დაჯილდოების შემდეგ – (მარცხნიდან) ზვიად იზორია, სოფიკო ხუხაშვილი, ალექსანდრ ფონ გლაიხი, ლელა ჯავახიშვილი და ანა მათნაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

### სხვა გაზეთიდან
## მწვრთნელი გივი ნოდია – „ლოკომოტივიდან" – „ლოკომოტივში"!



**საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი თავკაცის, ქვეყნის თასის მფლობელისა და ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის – თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის კლუბიდან გაუჩინარება ფეხბურთის მოყვარულთათვის საახალწლო სიურპრიზად იქცა. რკინიგზელთა ხელმძღვანელობამ არც აცია, არც აცხელა და ხანმოკლე ბჭობის შემდეგ არჩევანი ნევისპირა ქალაქში 1995 წლიდან მოღვაწე თანამემამულეზე, ერთ დროს თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოსა" და რუსთავის „გორდას" დამრიგებელ გივი ნოდიაზე შეაჩერა. შეგახსენებთ, რომ 70-იანი წლების ამ მრისხანე ბომბარდირმა „შინდისფერთა" ნაკრები 1990 წელს ლიტველებთან პირველი დამოუკიდებელი მატჩისთვისაც მოამზადა. ვითვალისწინებთ რა გულშემატკივართა ინტერესს, გთავაზობთ გაზეთ „ლელოში" (№2) გამოქვეყნებულ ინტერვიუს გივი ნოდიასთან.**

ფეხბურთელობისას გივი ნოდიამ თბილისის „დინამოდან" სწორედ „ლოკომოტივს" მიაშურა, ოღონდ, მოსკოვისას და მეასე გოლიც რკინიგზელთა მაისურით შეაგდო. თბილისის „დინამოს" მწვრთნელობიდან წასულმაც ისევ „ლოკომოტივი" არჩია, ამჯერად სანქტ-პეტერბურგის და საკმაოდ წარმატებითაც მოღვაწეობდა, თუმცა ფინანსურმა პრობლემებმა იძულა თავი და ისიც საკუთარი ნებით წამოვიდა კლუბიდან. რამდენიმე თვის უმუშევრობის შემდეგ გივი ნოდია ისევ „ლოკომოტივს" ჩაუდგება სათავეში, ამჯერად თბილისისას...

საინტერესო კიდევ ისაა, რომ უკვე მეორედ ხდება, გივი ნოდია რევაზ ძოძუაშვილის ყოფილ კლუბს რომ იბარებს.

**– ბატონო გივი, გილოცავთ ახალ თანამდებობას.**

– მოლოცვამდე კიდევ რამდენიმე დღეა, თუმცა, ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია...

**– საქართველოში როდის ჩამობრძანდებით?**

– 13 იანვარს სანკტ-პეტერბურგიდან პირდაპირი რეისით გამოვფრინდები. ტელეფონით უკვე ვესაუბრე ბატონ აკაკი ჩხაიძეს, ფაქტობრივად, ყველაფერზე შევთანხმდით, მაგრამ წერტილი ყველაფერს მაშინ დაესმება, პირისპირ რომ დავსხდებით. კონტრაქტსაც თბილისში მოვაწერთ ხელს...

**– საქართველოს მონატრებული იქნებით...**

– რა თქმა უნდა, ერთი სული მაქვს როდის ჩამოვალ, რაც უნდა კარგად იყო უცხოეთში, გული მაინც შინისკენ გიწევს.

**– რუსეთში მუშაობის გაგრძელება არ გსურდათ თუ შემოთავაზებები არ იყო?**

– უმაღლესი ლიგიდან არა და პირველი ლიგის რამდენიმე კლუბთან მქონდა მოლაპარაკებები. უმაღლესი ლიგა სხვა სისტემაა, იქ თავისი ხალხი უნდათ. ჰოდა, როგორც კი აკაკი ჩხაიძის წინადადება გავიგე, მყისვე დაეთანხმდი. რუსეთის პირველ ლიგაში მუშაობას საქართველოს უმაღლეს ლიგაში მწვრთნელობა გაცილებით სჯობს, თანაც ლიდერ გუნდში და საუკეთესო პირობებით. სულ რომ არაფერი, შინ ებრუნდები...

**– უკვე მეორედ ხდება, რომ რევაზ ძოძუაშვილის ყოფილ გუნდს უდგებით სათავეში...**

– ეგ ერთადერთი ხელისშემშლელი პირობა იყო, როგორც კი შემომთავაზეს, მეც იგივე კითხვა დამებადა. გავიგე, რომ რეზო საკუთარი განცხადებით წასულა გუნდიდან, მაგრამ, სანამ პირადად არ ვესაუბრები, არ მოვისვენებ. როგორც ვიცი, ახლა ლატვიაშია და ჯერჯერობით ვერ ვუკავშირდები. მაგრამ ვიმეორებ, აუცილებლად დავურეკავ, არ მინდა ამას გაუგებრობა მოჰყვეს.

**– ოჯახმა თუ მოგიწონათ არჩევანი?**

– რა თქმა უნდა, მეუღლესთან კონსულტაცია მქონდა. ისიც ძალზე გახარებულია.

**– თქვენი ვაჟი, ალექსანდრე საკმაოდ კარგად თამაშობდა ფეხბურთს, პეტერბურგშივე დადიოდა ერთ-ერთ უძველეს საფეხბურთო სკოლა – „სპორტში". ახლა თუ თამაშობს?**

– არა, სამკამ ოპერაცია გაიკეთა და ფეხბურთს ჩამოშორდა. ახლა სტუდენტია, აქვე სწავლობს.

**– პეტერბურგის „ლოკომოტივზე" გული თუ გწყდებათ?**

– თავისებურად, რა თქმა უნდა. ოთხი წელიწადი გავატარე ამ გუნდში და ბოლოს უმაღლეს ლიგაში გადასვლა დავგეგმეთ. კლუბის პრეზიდენტი აქსიონენკო ყველანაირად ხელს მიწყობდა, ძმები ჯელაძეებიც ჩემთან იყვნენ, სერიოზული გუნდი მყავდა, სულ ბოლოს მაყურებელთა რაოდენობა 6000-მდე ავიდა, არადა, დასაწყისში სულ 200 კაცი დადიოდა სტადიონზე. მოკლედ, ყველაფრისთვის მზად ვიყავით, მაგრამ როგორც კი კლუბის პრეზიდენტი აქსიონენკო ნოვოსიბირსკში გუბერნატორის თანაშემწედ გადაიყვანეს, ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ახალ პრეზიდენტს ფეხბურთი არ აინტერესებდა და მეც დავტოვე გუნდი...

**– მაშასადამე, ისევ „ლოკომოტივში". ამ გუნდს კი, მოგეხსენებათ, დიდი ამბიციები აქვს...**

– ვიცი, პრესას თვალს ვადევნებდი. ბატონმა აკაკი ჩხაიძემაც ტელეფონით მითხრა ამის შესახებ, მე მზად ვარ, სხვაგვარად არც შეიძლება, მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ესაუბრა **მამუკა ქვარაცხელია,** სფფ-ს პრესატაშე.

### ყოველი მხრიდან

**ანა კურნიკოვა: „მე და ჰინგისს არ გვიჩხუბია!"**

მათ ორი წლის განმავლობაში 9 ტურნირზე გაიმარჯვეს, მათ შორის, 1999 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე; და აი, მოულოდნელად მათი წყვილი დაიშალა. ამან ათასი ჭორი გამოიწვია. არადა, მსოფლიო ჩოგბურთის ორი მშვენიერი ასული – მარტინა ჰინგისი და ანა კურნიკოვა თაყვანისმცემლებს მარტო თამაშით კი არა, თავიანთი მომხიბვლელობითაც იზიდავდნენ.

ანა კურნიკოვამ სასწრაფოდ სცადა ჭორების – იხხუბესო, სამუდამოდ გადაეკიდნენ ერთმანეთსო – გაქარწყლება. ყველაფერი კი იმან გამოიწვია, რომ შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა წყვილთა ორთაბრძოლებისათვის ახალი თანამებრძოლი – მონიკა სელეში – ირჩია.

რუსეთელი სპორტსმენის განცხადებით: „ბევრი ჩოგბურთელი დროდადრო იცვლის პარტნიორს წყვილებში. ეს ნორმალურია, საჭირო არ არის რაღაც ინტრიგის ძებნა".

ზოგიერთი ჟურნალისტის განცხადებით, ეს განხეთქილება გამოიწვია ჯერ კიდევ ნოემბერში, ჩილეში საგამოფენო ტურნირზე მომხდარმა ჩხუბმა. კურნიკოვა ამასაც უარყოფს და ამტკიცებს, რომ ჩილეში მომხდარი უთანხმოება არაფრით არაა დაკავშირებული მათი წყვილის დაშლასთან. „ეს არ არის ჩვენი სამუდამო დამღურება. უბრალოდ, ჩვენ სხვადასხვანაირები ვართ. ეს კი არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ აღარ გვინდა ერთმანეთის დანახვა, ან ერთმანეთს აღარ დაველაპარაკებით". რუსეთელმა ისიც აღნიშნა, რომ ისა და ჰინგისი ძალზე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს და რომ მას აღარ უნდა წყვილთა პაექრობაში მონაწილეობა. მთელი ყურადღება ერთეულთა შეჯიბრებებზე უნდა გადაიტანოს.





**სად? რა? როდის?**

მრავალი სპორტული ღონისძიებითაა დატვირთული ახალი საუკუნის პირველი წლის პირველი თვე. ალბათ, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება, თუ რომელი დიდი შეჯიბრებები ეწყობა იანვარში:

**12-14. ციგურები.** ევროპის ჩემპიონატი ბაზელგა-დე-პინე (იტალია); **15-22. თხილამურები.** მსოფლიო ჩემპიონატი, ლახტი (ფინეთი); **15-28. ჩოგბურთი.** ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (მელბურნი); **16-21. ბობსლეი** – ევროპის ჩემპიონატი, კენიგზე (გერმანია); **17-21. ფრისტაილი** – მსოფლიო ჩემპიონატი. უისტლერ-მაუნტინი (კანადა), **19-21. ციგურები,** შორტ-ტრეკი, ევროპის ჩემპიონატი (ჰააგა); **20-21. ციგურები.** მსოფლიო ჩემპიონატი (სპრინტი), ინცელი (გერმანია); **22-28. სნოუბორდი,** მსოფლიო ჩემპიონატი, მადონა – დი-კამპილიო (იტალია); **23-4/II – ხელბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი (კაცები) – საფრანგეთი; **24-4/II – ბობსლეი,** მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ-მორიცე (შვეიცარია) **22-10/II – სამთო თხილამურები.** მსოფლიო ჩემპიონატი, სანკტ-ანტონი (ავსტრია).



**მაიეუსის რეკორდი ჰასანმა მოხსნა**

გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში – ეგვიპტე-ზამბია. მასპინძლებმა დაჯაბნეს სტუმრები – 3:1, მაგრამ ეს საერთაშორისო შეხვედრა მხოლოდ ამ გამარჯვებით კი არ იყო გამორჩეული: ეგვიპტელმა ჰუსეამ ჰასანმა ამ შეხვედრაში 151-ედ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში, რითაც მოიხსნა გერმანელი ლოთარ მათეუსის ეროვნულ ნაკრებში გამოსვლათა რეკორდი.

**სურათზე:** ახალი საფეხბურთო რეკორდსმენი ჰუსეამ ჰასანი.

**სპორტის რედაქცია.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



უბერებელი სიყვარული... ვანის რაიონის სოფელ ბზვანის მკვიდრნი — ცოლ-ქმარი ელადიმერ გოგორიშვილი და ცაბული ქართველიშვილი. სურათი გადაღებულია 1939 წელს.

ფოტო მოგვაწოდა ზაურ მაისაიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა



— ახალ წელს როგორ შეხვდი?
— როგორც საჩუქარი.
— ვერ გავიგე?
— მთელი ღამე ნაძვის ქვეშ ვეგდე.

* * *

— ძვირფასო, გუშინ, ერთ საათში მანქანაც გავრეცხე, ძრავაც, აკუმულატორიც დავტენე და საბურავებიც გამოვცვალე.
— მე მგონი, ჩემო კარგო, „ვიაგრას“ სხვაგვარად უნდა ემოქმედა შენზე.

* * *

იდგა 1926 წელი. ქვეყანას აკლდა პური, და მავ ხიზილალას პირდაპირ ძეხვის ნაჭერს უსვამდნენ.

* * *

ბიჭი საბავშვო ბაღში თანატოლებს ეუბნება, რომ თოვლის ბაბუა საშინლად ძუნწი ვინმე ყოფილა.
— რატომ?
— იმიტომ, რომ დილით ნაძვისხის ქვეშ კანფეტების კოლოფი დამიტოვა, რომელსაც ჩემი მშობლები განჯინაში ინახავდნენ.

## ტელევიზია — ხუთშაბათი, 11 იანვარი

**1** 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 09.50, 20.50 სერიალი "**ქამელეონი**" 10.25 მხ.ფ. "**დარჩით ჩვენთან**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 საქმე 12.40 ენერგია 13.00 ნაშუადღევს 14.05 რეალური სამყარო 14.25 საახალწლო შეხვედრები 15.15 მხ.ფ. "**ნუცას სკოლა**" 17.15 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 17.35 მესაკუთრე 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი "**სენ-ტროპე**" 19.05, 01.20 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "თბილისის დროით" 22.00 ვარსკვლავები გვილოცავენ 22.40 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 23.50 მხ.ფ. "**ლამაზი ჯო**"

**2** 19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი "**ფსიქფაქტორი**" 20.30 ლიტ. ესკიზები 21.00 რაგბის მოყვარულთათვის 21.30 დოსიე 22.00 ინფორმაცია 22.15 შვიდეული 23.15 მხ.ფ. "**ტაქსი-2**"

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, პაპირუსის თავგადასავალი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "**ბლანკოს ქვრივი**" 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი "**ჯუნგლების წიგნი**" 11.10 სერიალი "**სამანტა**" 12.15 მულტსერიალი "კონკია" 13.30 მხ. ფილმი "**მეღორე ლეონი**" 15.15 მხ.ფ. "**შეაწიეთ სიტყვა საწყალ პუსარს**" 16.50 მხ.ფ. "**დანსტონი**" 18.00, 21.00, 23.00, 02.00 კურიერი 18.20 "**ჯუნგლების წიგნი**" 19.00 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 19.50 სერიალი "**სამანტა**" 21.50 სერიალი "**ნიკიტა**" 00.05 მხ.ფ. "**დანგრეული სასახლე**" რეჟ. ჯონატან კაპლანი. მთ. როლებში: კლერ დეინსი, ბილ პულმანი. 02.10 კლასიკა

**იბერია** 20.00 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 20.10 აღსავალი 20.15 მხ.ფ. "**გზა შინისაკენ**" 21.40 მუს. ტალღა 21.50 მხ.ფ. "**ვაგზალი ორისათვის**"

**ევრიკა** 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.45 მხ.ფ. "**შაბათი, კვირა, პარასკევი**" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 პროგრამა "სალონი" 14.00 მხ.ფ. "**ბანკოკ ხილტონი**" 2 ნაწილი 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მულტფილმი 18.30 დოკ. ფილმი 19.00 საუბრები მწვანე ბუხართან 20.30 ახალგაზრდული მუსიკალური პროგრამა 21.30 "სალონი" 22.00 ძველი კინოკლასიკა 23.00 მხ.ფ. "**კარმენი**"

**1ST** 08.00 "ბისი". მხ.ფ. "**სელენა**" 10.05, 18.10, 20.20, 22.20, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 17.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 18.25 "Co.მედია" მხ.ფ. "**ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ**" მთ. როლში ჟერარ დეპარდიე. 20.25 პროგრამა "F" მხ.ფ. "**უფსკრულთან შეჯახება**". მთ. როლში რობერტ დიუვალი 22.35 "ბრავო". მხ.ფ. "**ჩვენი ყმაწვილი**" მთ. როლში ენტონი ლაპალზია 00.15 "ღამურა" მხ.ფ. "**თავის ქალები**". მთ. როლში ჯოშუა ჯექსონი 02.00 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ქვეყანა ოზის ჯადოქარი" 09.40 მხ.ფ. "**გაიცანით ჟოლი სპარკსი**" 11.25 ევროპის სტადიონებზე 11.55 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი შიგნიდან" 12.45, 21.55, 23.40, 01.55 მუსიკა 13.00 მხ. ფილმი "**ალყაშემორტყმულები**" 14.35, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.10 მხ.ფ. "**ქსელი**" მთ. როლში სანდრა ბალოკი. 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 "საუბრები სტუდიაში" 22.10 მხ. ფილმი "**არასოდეს არ არის გვიან**" რეჟ. დვ მთ. როლში პიერ რიშარი 00.15 მხ. ფილმი "**აფეთქება წარსულიდან**" მთ. როლებში ბრენდენ ფრეიზერი, ქრისტოფერ უოკენი

19.00, 01.00 "დღეს" 19.20 მულტფილმები 20.00 ქართ. მხ.ფ. "**გამოცხადება**" 21.05 კონცერტი "ჯიპრი კინგი" 22.00 "დღეს" 22.40 დიპლომატია და დიპლომატები 23.30 მხ.ფ. "**ერკული და შერლოკი მაფიის წინააღმდეგ**" 01.30 მხ.ფ. "**მომკალი კოცნით**"

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

---

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ!

# ახალი ათასწლეული — ერთად!

> 2001 წლიდან „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა იაფდება!

**ძვირფასო მკითხველო!** ვინც სისტემატურად კითხულობს საქართველოს დღევანდელი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების მემატიანეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, დაგვეთანხმება, რომ ის ყველაზე სანდო, უტყუარ, პრინციპულ, ქვეყნის გადარჩენისთვის, ერთობისთვის, გამთლიანებისთვის, ურთიერთთანადგომისთვის გამიზნულ ინფორმაციას ფლობს.

ჩვენი გაზეთი ყველა რანგის ხელმძღვანელის (თბილისშიც და საქართველოს მხარეებშიც) სამაგიდო გამოცემაა. აქ და სწორედ აქ იბეჭდება სახელმწიფოებრივი, მართლაც სახელმძღვანელო დოკუმენტები. და მარტო ეს? „საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველმხრივ დააკმაყოფილებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის, ხელოვნების, სოციალური ყოფის, ჯანმრთელობის, სპორტის პრობლემებით დაინტერესებულ ადამიანებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ სწორ, მრავალმხრივ შემოწმებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს, რათა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

ჩვენო პირუთვნელო მკითხველებო, ვიცით, რომ ფინანსურად ძალიან გიჭირთ, მაგრამ უამგაზეთოდ კიდევ უფრო გაგიჭირდებათ! ამიტომაც შეგახსენებთ, რომ ნამდვილად ღირს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა და მის პროფესიონალ კოლექტივთან სისტემატური თანამშრომლობა.

მით უფრო, რომ ჩვენ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ და ახალი, 2001 წლიდან საგრძნობლად შევამცირეთ ხელმოწერის თანხა.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი. ასე რომ, ვინც ექვსი თვით გამოიწერს გაზეთს, გასულ წლებთან შედარებით, 12 ლარით ნაკლები დაუჯდება (სამი თვით — 6 ლარით ნაკლები და ა. შ.). ჩვენი ინდექსია — 66434.**

## გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“

სარედაქციო კოლეგია.

---

ჩვენი პუბლიკაციის კვალზე

# გაურკვეველი პოზიცია დაზარალებულთა უპრინციპობაზე მეტყველებს

გასული წლის 9 სექტემბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით „რატომ ისჯება ლარიბიანი?“ მასში საუბარი იყო თბილისში, კერძოდ, გლდანის მასივში 1999 წლის 13 თებერვალს ღამის პირველის ნახევარზე მეტროს სადგურ „ახმეტელთან“ მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დროს დაშვებულ იმ „უნებლიე შეცდომებზე“, რისი მეოხებითაც გამომძიებელმა დამნაშავე პირის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, უდანაშაულო ადამიანის დადანაშაულებაც შეძლო, რასაც, სამწუხაროდ, გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლომაც, არაობიექტურობით თვალახვეულმა, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და საქმისადმი მიდგომით მასში ძიების დროს დაშვებული მიკერძოების ვერავითარი კვალის აღმოჩენა ვერ შეძლო. ამიტომაც ერთი ხელის დაკვრით გამოიტანა განაჩენი, რომელმაც ლარიბიანს დამნაშავეზე — კობახიძეზე (იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში მთვრალი იყო და აკრძალულ ზონაში გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის დროს „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსით შეეჯახა ლარიბიანის „ჟიგულის“ მარკის კერძო ტაქსს, სადაც ერთი სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, ორმა კი სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო) ერთი წლით ნაკლები ვადით, თანაც მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მიუჩინა ადგილი (!).

აღნიშნულ საქმეს ადამიანური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ნამდვილად ცოდვაა თავისი გაუფრთხილებლობით, პირად სიამოვნებას აყოლილი, ახლა უკვე ციხის გისოსებს მიღმა დარჩენილი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შეგნებულად გაიმრუდა ცხოვრება, მაგრამ, დამერწმუნეთ, ორმაგად ცოდვაა ის უდანაშაულო ადამიანი, მთელი ეს დრო, საოლქო სასამართლოში მის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვის მოლოდინში, მართალია გარეთ, მაგრამ მაინც გაურკვეველ ვითარებაში, — როცა არ იცი, თუ რა ბედი გელის ხვალ, — დათრგუნულმა რომ გაატარა.

ხანგრძლივი, მომქანცველი ლოდინის შემდეგ, ამ დღეებში, როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა და საოლქო სასამართლოში აღნიშნული საქმის ხელახლა განხილვა დაიწყო, რომლის მსვლელობის დროს, შიგადაშიგ, აშკარად იკვეთება ბრალმდებლის მცდელობა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაიცვას ამ ძირშივე არაობიექტურად გამოძიებული საქმის მთავარი მოქმედი პირის მუნდირის ღირსება.

ჩემს ამ ვერსიას, სამწუხაროდ, დაზარალებულთა მხრიდან (გარდაცვლილის დედა და ძმა) პოზიციების მეტად საეჭვო გაურკვევლობა, მათი მერყეობა და უპრინციპობაც განამტკიცებს. თუმცა ამ საქმეს, იმედია ნათელს მოჰფენს უშუალოდ მთავარი მოწმის (გარდაცვლილის მეუღლის) ჩვენება სასამართლოზე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თემიდის სასწორი ობიექტური იქნება და ურწმუნოთა თვალში კიდევ ერთხელ დაამტკიცებს როგორც სასამართლოს შეუვალობას, ისე ჩატარებული რეფორმის აუცილებლობასაც.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

---

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე)

11 იანვარი, 2001 წ.

### ქ. ფოთის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებებით ქ. ფოთის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს სადაწნეო მილსადენით მდ. ტეხურის გადაკვეთის უბანზე მარჯვენა ნაპირისა და ვიადუკის ბურჯების გამაგრებას, აგრეთვე, მილდენის ტრასის გადატანის სამუშაოებს, მდ. რიონის გადაკვეთის უბანზე წყალგამყოფ ნაგებობაზე არსებულ სასიარულო ხიდზე მილდენის ჩამოკიდების კონსტრუქციის შეცვლას, და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № POTI/NCB-004/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 120 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ უნდა თან ახლდეს **წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია 7.500 ლარის ოდენობით (ან ექვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში).** საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს **2001 წლის 14 თებერვლის 12:00 საათისა.** ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

---

## ინფორმაცია

### იუნესკო „ჩაკრულოს“ გადაარჩენს

იუნესკომ, რომელსაც ქართულმა მხარემ ქართული სიმღერის გადარჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამა „ჩაკრულო“ შესთავაზა, პირველ ეტაპზე პროგრამის მოსამზადებლად 17.500 დოლარი გამოყო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აუდიო, ვიდეო, საარქივო და ისტორიული მასალების შესაგროვებლად, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა გუნდების ჩანაწერების გასაახლებლად.

შექმნილია სამუშაო ჯგუფი ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

### კულტურა და კომერცია

საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ფონდი ჯერ სულ ახალგაზრდა ორგანიზაციაა. მისი მთავარი ამოცანაა დააფინანსოს სტაბილური და ეკონომიკურად გამართული კულტურის სფეროს პროექტები, რომლებიც მოგებას მოუტანს ფონდს, შემოსული თანხები კი, კულტურის სხვა პერსპექტიულ პროექტებს მოხმარდება.

ამ ფონდის ხელმძღვანელის გურამ გაბოძაშვილის აზრით, ფონდმა უკვე ააწყო თავისი საქმიანობა. კერძოდ, შეიქმნა ხმის ჩამწერი სტუდია, რომელიც უახლოეს ხანში ამოქმედდება; გამოიცა და იყიდება საფოსტო ბარათები; მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ საქართველოს ყოველ მუზეუმს, ისევე, როგორც ეს საზღვარგარეთაა, ჰქონდეს საკუთარი მაღაზიები, სადაც სუვენირების, ბუკლეტების, ბარათების, მულაჟებისა და სხვა სახის ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები მუზეუმებს მოხმარდება.

**საქინფორმი.**

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტი“ იუწყება, რომ ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს კოტე სამუშიას გარდაეცვალა ძმისწული
თეიმურაზ ბონდოს ძე სამუშია
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## ხსოვნა

### ალექსანდრე კორშია



საქართველოს ომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **ალექსანდრე (საშა) კორშია.** იგი დაიბადა 1919 წელს სენაკის რაიონში.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და მიიღო მშენებელ ინჟინრის სპეციალობა. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 1946 წლის აგვისტომდე განვლო სახელოვანი საბრძოლო გზა და როგორც ოფიცერი წარმატებით იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე.

დემობილიზაციაში გასვლის შემდეგ მუშაობდა სამეურნეო და პარტიულ ორგანიზაციებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1963 წლიდან ა. კორშია 9 წლის განმავლობაში იყო ქ. თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე, სადაც უნარიანად, საქმის ღრმა ცოდნით ხელმძღვანელობდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

1972 წელს ა. კორშია გადაიყვანეს საქართველოს მომარაგების მთავარი სამმართველოს ერთ-ერთ წამყვანი სამმართველოს უფროსად, ხოლო 1975 წლიდან 1988 წლის დეკემბრამდე, პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა საქართველოს მთავრობის აპარატში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. საბრძოლო და შრომითი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, მიღებული ჰქონდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამი საპატიო სიგელი, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ა. კორშია აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში, განსაკუთრებით ომის ვეტერანთა მოძრაობაში, სადაც დაუზარებლად საქმიანობდა სიცოცხლის ბოლომდე.

წავიდა ჩვენგან საყვარელი ადამიანი საშა კორშია, ადამიანებზე მზრუნველი, უაღრესად მეგობრული სულისკვეთების, სათნო კაცი, მაგრამ მისი სახელი, ენერგიითა და კეთილშობილებით აღსავსე ცხოვრება, მუდამ დარჩება მოსაგონრად. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

**საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი; საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო; საქართველოს ომის ვეტერანთა კავშირი; ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭო.**

---

შვილები კარლო, მელორ, ნაზი ტყემელაშვილები, რძლები ზაირა კობალაძე, ციცინო წიგნაძე, ქეთევან გეგეჭკორი, ლელა სირაძე, შვილიშვილები მაყვალა, მარინა, ქეთევან, მანონი, მარიკა, ნესტან, ზიტა, ვალერიან, მერაბი, სიძეები გივი შენგელია, ნესტორ ბრეგვაძე, სანდრო გენგაშვილი, გოჩა ყანჩაველი, მამუკა შევარდნაძე, ლადო თურქია, ანდრო ქევანია, შვილთაშვილები და შვილთაშვილის შვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან (ქეთო) ნესტორის ასული ძაგნიძე-ტყემელაშვილი.

პანაშვიდი 11-12 I, 3 სთ. დაკრძალვა 13 I, 2 სთ. ბზვანში (ვანის რ.)

---

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრის მელორ ტყემელაშვილის დედა

ქეთევან ძაგნიძე-ტყემელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტი თანაუგრძნობს პარლამენტის წევრს მერაბ ტყემელაშვილს ბებიის

ქეთევან ძაგნიძე-ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის დამფუძნებლები და გამგეობა თანაუგრძნობს მელორ ტყემელაშვილს და მის დიდ ოჯახს, ღირსეული ქალბატონის

ქეთევან ძაგნიძე-ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ და მალხაზ ტყემელაშვილები, ნუგზარ სვანიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მელორ და კარლო ტყემელაშვილებს დედის

ქეთევან ძაგნიძე-ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ედვარდ სურმანიძე თანაუგრძნობს მელორ და მერაბ ტყემელაშვილებს დედის და ბებიის

ქეთევან ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

პაატა ბურჭულაძე, გურამ ახალაია, თემურ ქვანია ოჯახებით თანაუგრძნობენ მელორ ტყემელაშვილს დედის

ქეთევან ძაგნიძე-ტყემელაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ დავითაშვილი, თამაზ მარჯანიძე, დავით კაპანაძე, თამაზ თხელიძე, ალბერტ ინდუაშვილი, ოლეგ ლომიძე, ბონდო მძინარაშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ჯუდო დარსაძეს შვილის

გეგა დარსაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა

გაიოზ ხაჭაპურიძე.

გაიოზ ხაჭაპურიძე — ინჟინერ-მშენებელი, სხვადასხვა დროს მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, კერძოდ, გზებისა და ხიდების მშენებლობაზე საამშენებლო სამმართველოს უფროსად. 1993-1996 წლებში იყო კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში.

წავიდა ამ ქვეყნიდან კოლორიტული კაცი, შესანიშნავი მეგობარი და მამა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო ვაშაკიძეს მამის

ტრისტან ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

---

დედა ლუდა, მეუღლე გულნაზ კვირკველია, შვილები ლევან, ვახტანგ იზორიები, შვილიშვილი ლევანი, ძმა ვალერი, და ეთერი, ძმისწულები სოფიკო, დავით იზორიები, დისწულები თათია, ნატა, აკაკი დემურიები, რძლები ეკა ბეგიაშვილი, ვაკონა ჩარჩხალია, სიძეები კოტე დემურია, ბესიკ ჭეჟია, ვახტანგ ფაცაცია, ნათესავები და ახლობლები ოჯახებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ვახტანგ ლეონტის ძე იზორია

პანაშვიდი: 11, 12 I, 4 სთ. გამოსვენება: 13 I, 2სთ. ვაზისუბნის IV მიკრორაიონი, I კვარტალი, 22 კორპუსი.

---

სააქციო საზოგადოება ბიზნეს ცენტრი „მონტაჟსპეცმშენი“ თანაუგრძნობს ქალბატონ ნინო მუმლაძეს და ბატონ ჯაბა კუბლაშვილს დედის და სიდედრის ქალბატონ

მარიამ მუმლაძის

გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისის №5 სამშობიარო სახლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ №5 სამშობიარო სახლის ექიმ მეან-გინეკოლოგის

ნანა გიორგის ასულ ქორქოლიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.